

ისტორიული ძეგლები „შველას“ ითხოვენ

04/12/2013

„საქართველოს რესპუბლიკის“ ა.წ. 3 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა საქართველოს საზოგადოების წარმომადგენლების მიმართვა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისადმი, დავით აღმაშენებლის ძეგლის ძველ ადგილზე დაბრუნების თაობაზე. მიმართვას, მეორე მიმართვა უნდა მოჰყვეს - პრემიერთან შეხვედრის თხოვნით.

ერთია, გაზეთში გამოქვეყნებული მიმართვა (მას ან წაიკითხავს, ან არა) და მეორეა პირადი საუბარი, რომლის დროს გამოჩნდება, იქნება თუ არა ის, ამ საკითხის გადაწყვეტისთვის მზად. პირად საუბარში გაცილებით იოლად დასაბუთდება ნაცთა მიერ მიღებული გადაწყვეტილების საწინააღმდეგო ქმედება.

ნაცთა გადაწყვეტილება იმიტომ კი არ მოითხოვს რევიზიას, რომ ის ნაცთა მიერ არის მიღებული, არამედ იმიტომ, რომ ჭეშმარიტება აღდგეს. დავით აღმაშენებლის ძეგლი ორგანული ნაწილი იყო დედაქალაქის გულისა. დედაქალაქის გული კი მთელი საქართველოს გულია. სწორედ მისთვის შექმნა მერაბ ბერძენიშვილმა შესანიშნავი ქმნილება და არა ქალაქის განაპირა ადგილისთვის.

დიდი მეფის ძეგლი ქართველთათვის მარტო ძეგლი არ არის. ის ერის სიძლიერის, სუვერენიტეტის, მარადისობის სიმბოლოა და რახან ასეა, ის ქალაქის ერთ-ერთ შემოსასვლელში კი არა, გულში უნდა იდგეს. ჩემის აზრით, „მეოცნებე“ ხელისუფლებას, შეხსენების გარეშე, უნდა გადაედგა ეს ნაბიჯი, მაგრამ. . .

ძეგლის დაბრუნებასთან ერთად აუცილებელია „მელიქ კაზარიანცის“ შენობის რესტავრაცია და მისი უკანა ნაწილის წესრიგში მოყვანა. რამდენი ხელისუფლება უნდა შეიცვალოს ამ ქვეყანაში, რომ უპატრონოდ მიტოვებული შენობის აღდგენა მოხდეს?

გაცილებით ადრე რომ დაწერილიყო ეს მიმართვა, თუნდაც ნაცთა დროს, როდესაც ძეგლი გადაჰქონდათ, უკეთესი იქნებოდა, ვინაიდან მცირედი მხარშიდგომა გაამხნევებდა ძეგლთან შეკრებილ ხალხს, თემურ შაშიაშვილის თაოსნობით. არ გაჭრა მისმა მოწოდებამ - ძეგლის დაცვის მიზნით ქუდზე კაცის გამოსვლა.

საზოგადოების ინდიფერენტულობამ შთააგონა ნაცები საკუთარ უძლეველობაში. დაინგრა ძველი და აშენდა ახალი - უგვანო და მიუღებელი, ერთობ შეუფერებელი ძველი ქალაქისთვის - უფუნქციო ხიდი, მეტალის მიღები,

იუსტიციის სახლი, გმირთა მოედნის ურჩხული ესტაკადა, შუაში ამოზრდილი სვეტი - შიფერის მსგავს მასალაში გახვეული. და ამ სიმახინჯეში სადღაც, გორაკის ძირში, სრულიად შეუფერებელ ადგილას, პრიმიტიული თეთრი კედელი - აფხაზეთში დაღუპულთა სახელებით.

დღევანდელი, გუშინდელი და გუშინწინდელი ხელისუფლება პატიჟებდა და პატიჟებს ყველა უცხოელ სტუმარს მემორიალის გვირგვინით შესამკობად - ავტომანქანების გამაყრუებელ ხმაურსა და აუტანელ გამონაბოლქვში.

დაღუპულთათვის პატივის მიგება სიმშვიდის ატმოსფეროში, შესაბამის გარემოში უნდა ხდებოდეს და არა იქ, სადაც ეს ხდება.

გვეონდეს გმირთა მემორიალი და მაინც პრიმიტივიზმისკენ მივექანებით, ჩვენსავე პრიმიტიულობას ხომ არ უსვამს ხაზს?

მერაბ ბერძენიშვილის მარჯვენამ შესანიშნავი გმირთა მემორიალი შექმნა ვაკის პარკში, რომელიც ხელისუფლების წყალობით დავიწყებას მიეცა, ნაცვლად იმისა, რომ აღედგინა და იქვე მიეჩინა ადგილი აფხაზეთში დაღუპულთათვის, „გმირთა“ მოედანი ამოირჩია. გმირთა მოედანს ვამბობ, თორემ რა უგავს მას მოედნის?

დიდ სამამულო ომს ახალი ქართველობა არ ცნობს - ჩვენი ომი არ იყო, ამბობს. ამიტომაც ააფეთქა გმირთა მემორიალი ქუთაისში - მდუმარე ხალხის წინ. მდუმარე ხალხის წინ, ახალმა გურულებმა, გურიისა და საქართველოს გმირი გენერლების ლესელიძის, ჩანჩიბაძის, სხვათა ბიუსტები აიღეს და მათ ადგილას ტუალეტი ააშენეს. მდუმარე თბილისელების თვალწინ გაიძარცვა და გაპარტახდა ვაკის პარკში არსებული მემორიალი. მდუმარე გორელებმა მხოლოდ თვალი გააყოლეს სტალინის წაქცეულ ძეგლს.

ნადგურდება არა მარტო ძეგლები, არამედ ძეგლად ქცეული შენობა-ნაგებობები. ამ ხელისუფლებამ რიხით განაცხადა, „მიხაილოვის“ საავადმყოფოს შენობის ყოფნა-არყოფნის თაობაზე. კვირიკაშვილია ბრძანა - „პლექანოვის“ გამოზირს თანამედროვე სასტუმრო დაამშვენებსო. კეთილი, მაგრამ ამ ვიწრო ქუჩაზე სასტუმრო, თანაც „ვარსკლავებში“ , რამდენად მოსახერხებელი იქნება?

„პლექანოვზე“ იყო თავის დროზე სასტუმრო „რუსთავი“, რომელიც გაიყიდა და მას შემდეგ სრულიად უფუნქციოდ დგას. არავინ ინტერესდება უნიკალური შენობის ბედით, ისევე როგორც არ ინტერესდებოდა ყოფილი კინოთეატრის „აპოლოს“ ბედით. კიდევ კარგი ვიღაცა დაინტერესდა ამ შენობით, უფრო სწორად კულტურის სამინისტრო. იქნებ, რამე ეშველოს?

მიტოვებული შენობების რაოდენობა თვალშისაცემია, თანაც ეს ისეთი შენობებია, რომლის მსგავსს დღეს ვერ ააშენებენ. ავიღოთ თუნდაც კოსტავას ქუჩაზე

მდებარე სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოფილი შენობა. შემოღობეს, ძონძები ჩამოაცვეს და ამით მორჩა რეკონსტრუქცია. შენობა ჩვენს თვალწინ ინგრევა, ისევე როგორც „იმელის“ უნიკალური შენობა. გაუგებარია თბილისის ყოფილი უნივერსიტეტის ბედიც, რახანია ეს შენობა „ბამბანერკასავით“ დოლბანდშია გახვეული. არც არავის აწუხებს მისი მომავალი, ისევე, როგორც „თავისუფლების“ მოედანზე გამოშვიებული, „ცეკავშირის“ ყოფილი შენობა.

როგორც იქნა საშველი დაადგა პარლამენტის შენობის წინ არსებული თავისუფალი სივრცის გამოყენების საქმეს. იქ ბიზნესმენი ჯოხთაბერიძე თანამედროვე მხატვრების ნამუშევართა საგამოფენო სახლს აგებს. მშენებლობა დაწყებულია და ვიდრე გვიან არ არის, იქნებ ნაცვლად ჩანაფიქრისა, მომავალ შენობაში ადგილი დაედოს ხელნაწერთა ინსტიტუტს, თავისი უნიკალური საგანძურით?

ერი, რომელიც თავის ისტორიას პატივს არ სცემს, სხვისგან პატივისცემას არ იმსახურებს.

წარსულისადმი უპატივცემულო დამოკიდებულება ყველა ხელისუფლებისთვის იყო დამახასიათებელი. გამსახურდიამ „იმელის“ შენობის ფასადზე არსებული ბარელეფი გაანადგურებინა, შემდეგ პარლამენტის შენობის ფასადზე, ქვაში ამოტვიფრული საბჭოური სიმბოლიკა ჩაქუჩებით ამტვრევინა.

„მეოცნებე“ ხელისუფლებამ თავისი უარით, შეიძლება პრეზიდენტის სასახლე გაანადგუროს. პრეზიდენტის სასახლე ღარიბ ქვეყანას არ შეეფერებაო და ამერიკულ-ქართულ უნივერსიტეტს გადაულოცა. რა არასერიოზულობაა! შენობამ რა დააშავა? ეს სასახლე პრეზიდენტისთვის იყო აგებული და არა სააკაშვილისთვის. შენობის პროფილის შეცვლას, უდავოდ მოჰყვება ხარჯები, შენობის „გაუპატიურება“.

მეგლებისადმი, ძველი და ახალი შენობა-ნაგებობებისადმი ცუდი მოპყრობა ნამდვილად არ მეტყველებს ერის განსწავლულობაზე. ის სხვა რამეზე მიაჩნებს, დაახლოებით იმაზე, რაც „თალიბებმა“ იკადრეს ავღანელი ხალხის მიერ შექმნილ ისტორიულ ძეგლთან დაკავშირებით.

არჩევანის წინაშე მყოფი უკრაინა

15/12/2013

რახანია მსოფლიოს ელექტრონული საინფორმაციო საშუალებები ნომერ პირველ ახალ ამბავად ტაილანდსა და უკრაინაში მიმდინარე საპროტესტო აქციებს გვთავაზობენ. ორივეგან დამაბულობა ხან კულმინაციას აღწევს, ხან წყნარდება, ხელისუფალთა დასამშვიდებლად.

ტაილანდის ანტისახელისუფლებო გამოსვლები მომიტინგეთა სრული წარმატებით დასრულდებოდა, რომ არა ტაილანდის მეფის დაბადების დღე, რომელმაც თავად გამოიწვია მემამოხეთა დროებით გაყუჩება. ხელისუფლებამ, მემამოხეებმა, მთელმა ტაილანდმა დიდის პატივისცემით აღნიშნეს მეფის დაბადების დღე და წესრიგით შეეგებნენ დღესასწაულს. ბანგკოკის ცენტრიდან გაქრა პოლიციელთა მიერ აღმართული, მემამოხეთა შტურმის საწინააღმდეგო ბარიერები, მაგრამ დასრულდა დღესასწაული და მომიტინგეებმა გააგრძელეს მიტინგები. ტაილანდის პრემიერ-მინისტრმა ბოლოსდაბოლოს დააკმაყოფილა მომიტინგეთა მოთხოვნა და ვადამდელი არჩევნების ჩატარების თარიღი დაასახელა.

მსოფლიოს დასავლეთში, უკრაინაში, მიტინგები გრძელდება, ტაილანდთან შედარებით, მომიტინგეთათვის ერთობ არაკომფორტულ ვითარებაში - ყინვასა და თოვლში, ტაილანდის თბილი კლიმატური პირობების შემთხვევაში, უკრაინაში მომიტინგეთა რაოდენობა გაცილებით მეტი იქნებოდა.

ცუდმა ამინდმა გარკვეული დახმარება გაუწია უკრაინის ხელისუფლებას, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ. მომიტინგეები ფეხს არ იცვლიან კიევის ცენტრიდან და არათუ იცვლიან, პოლიციის მიერ გაწმენდილ ბარიკადებს, მეორე დღესვე, დიდის გულმოდგინებით აღმართავენ. ბარიკადების დაშლა-აღდგენის პროცესი ისეთ სახეს იღებს, სიცილს თუ არა, ღიმილს უდავოდ იწვევს - მარტივი კითხვით - სადამდე?

ტაილანდისა და უკრაინის მიტინგებს თავისი გმირებიც ჰყავს. მათი სახელები უკვე გაიცნო მსოფლიომ. თუ ტაილანდში „გმირთა“ პერსონები ნაკლებად გამოხატულია - იქ ხალხია პირველ პლანზე, უკრაინაში - კლიჩკო, იაცენიუკი, ტიაგნიბოკა არათუ პირველ პლანზე, ლამის ზენიტში არიან და მათთან ერთად მთელი ევროპა-ამერიკა.

თუ ტაილანდის ხელისუფლების მიმართ დასავლეთს არაფერი უთქვამს ჭკუის დარიგების მსგავსი ან მკაცრი გაფრთხილების, უკრაინასთან მიმართებაში ამას ვერ ვიტყვით. აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტის ჯო ბაიდენის ორი სატელეფონო საუბარი უკრაინის პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩთან, რად ღირს. ან სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება - სტრატეგიული თანამშრომლობის ჩარჩოებში არ ჯდება მიტინგების ძალისმიერი დაშლაო.

უკრაინის ხელისუფლებაზე ისეთი ზეწოლაა აშშ-ევროკავშირის მხრიდან, კაცი რომ ვერ წარმოიდგენდა. უკრაინის მოვლენებმა გააშიშვლეს სრულიად დასავლეთის

„დემოკრატიული“ სახე. ვინ არ ჩავიდა კიევში, ვინ არ მოეფერა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, უკრაინელ პროტესტანტებს, ვინ არ დატუქსა იანუკოვიჩი და მისი ხელისუფლება შემდეგი სიტყვებით - „ხელი მოაწერე ასოცირებული წევრობის ხელშეკრულებას, თორემ ამ მომიტინგეებს შევაჭმევინებთ თქვენს თავსო“.

დასავლეთმა იანუკოვიჩს აუკრძალა მომიტინგეებისკენ გახედვაც კი. მას ერთი გზა დაუტოვა - ბრიუსელისკენ. როდესაც აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილე ვიქტორია ნულანდი, უკრაინაში აშშ-ს ელჩთან ერთად „პონჩიკებს“ ურიგებს მემამბოხეებს, როდესაც ევროკავშირელი ქეთრინ ემტონი უკრაინის სამართალდამცველთა მიერ სტუდენტების წინააღმდეგ ძალის გამოყენებას კატასტროფად მიიჩნევს - ყველაფერი ნათელია. დასავლეთს სურს ასოცირებით უკრაინის რუსეთისგან ჩამოშორება. თუ უკრაინა არ გააკეთებს ამას - მიიღებს რევოლუციას.

ნეტავ სად იყო „დემოკრატიული“ დასავლეთი მაშინ, სააკაშვილი რომ უმოწყალოდ უსწორდებოდა მომიტინგეებს?!

უკრაინის ხელისუფლება ორ ცეცხლსშუაა - საკუთარი მოსახლეობის სავარაუდო სოციალური ბუნტისა და ბრიუსელის. მოსკოვი აქ არაფერ შუაშია. ცხადია, ის ისურვებდა, რომ შუაში კი არა თავში ყოფილიყო, მაგრამ „თავში“ ყოფნისთვის მას თავის დროზე უნდა ეფიქრა. მისდა სამწუხაროდ, მან ეს ვერ ან არ გააკეთა - სხვა საქმეებით იყო გართული - დაიმედებული იმით, რომ უკრაინა არსად წავიდოდა.

ასოცირებული წევრობა ნიშნავს უკრაინის რუსეთის ორბიტიდან ჩამოშორებას. სწორედ ამიტომ ირჯება დასავლეთი. ვერ გააფართოვა მან ნატო აღმოსავლეთით, მაგრამ 2009 წელს დაიწყო ეკონომიკური ექსპანსია. პროექტს „აღმოსავლეთის პარტნიორობა“ დაარქვა და მიმართა უკრაინის, ბელორუსის, მოლდოვის, კავკასიის ქვეყნებისკენ.

იქიდან მოყოლებული, დასავლეთს მცდელობა არ შეუძნელებია აღნიშნული ქვეყნების გადაბირებისთვის. ჩატარდა 2 სამიტი, თუმცა ნაკლები აჟიოტაჟით და წარმატებით, მაგრამ მას შემდეგ, რაც ლიტვა გახდა ევროკავშირის დროებითი თავმჯდომარე, ამ ქვეყნის ხელისუფლებამ გადაწყვიტა ვილნიუსის სამიტის წარმატებით დასრულება, ანუ უკრაინის ჩათრევა.

მანამდე კი იყო ბრიუსელ-კიევის აქტიური და შეხმატკბილებული თანამშრომლობა, პარაფირებული ტექსტის შეჯერება, ანუ უკრაინის კანონმდებლობის ევროპულთან ჰარმონიზება. ერთადერთი საკითხი, მძიმედ გადასაწყვეტი, ყოფილი პრემიერის ტიმოშენკოს პატიმრობიდან განთავისუფლება იყო.

როგორც ჩანს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაწეული შრომის „ნაყოფი“ დროულად არ იყო მიწოდებული უკრაინის ხელმძღვანელობისთვის, რომელმაც ვილნიუსამდე, ერთი კვირით ადრე, უარი განაცხადა ხელმოწერაზე. უკრაინის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლაი აზაროვმა ასე განმარტა: „უკრაინის ბაზარზე ერთმანეთის კონკურენტებად 2 საწარმოა - ევროპული და უკრაინული, ვინ იყიდის უკრაინული საწარმოს მიერ დამზადებულ პროდუქციას? სწორედ ამიტომ საჭიროა ხელმოწერის გადადება - მანამ, ვიდრე უკრაინაში არ შეიქმნება მაღალტექნოლოგიური საწარმოები, რომელთა პროდუქცია გაუძლებს ევროპულის კონკურენციას. ამისათვის 10 წელი იქნება საჭირო“.

მან ისიც აღნიშნა, რომ ევროპასთან ასოცირება უკრაინას ძვირი დაუჯდება - 100-160 მილიარდი ევრო, თითქმის იმდენი, რამდენიც უკრაინის საერთო ეროვნული პროდუქტია - 176 მილიარდი დოლარი. საიდან მოიტანს ამ თანხას უკრაინა?

თვით უკრაინის ეკონომიკა გასული წლიდან რეცესიაშია. მიმდინარე წელს ერთიანი ეროვნული პროდუქტი 1.5%-ით შემცირდა. 2014 წლისთვის უარესი პროგნოზია. შიდა მოთხოვნა მცირდება, ხოლო ექსპორტიდან მიღებულ შემოსავალზე ლაპარაკიც ზედმეტია. უკრაინის მთავარი საექსპორტო საქონელი - ფოლადია, რომლის ბაზარი მთელს მსოფლიოში ცუდ მდგომარეობაშია. მთავრობას ისღა დარჩენია დეფიციტის დასაფარავად ახალი ვალი აიღოს. უკრაინის სახელმწიფო ვალი ერთიანი ეროვნული პროდუქტის 78% შეადგენს.

ასოცირებული წევრობა უკრაინას აძლევს საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან თითქმის 6 მილიარდი დოლარის კრედიტს, რომელიც უკრაინამ მომავალ წელს უნდა დაფაროს, რაზეც უკრაინა არ დათანხმდა. სავალუტო ფონდის რეკომენდაციით, უკრაინას 40%-ით უნდა გაეზარდა კომუნალური მომსახურების ტარიფები.

უკრაინის მიერ ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა შეაჩერებს სამეცნიერო-ტექნიკურ ურთიერთკავშირს ავიამშენებლობის, სარაკეტო-კოსმიურის, გემთმშენებლობის დარგებთან. მაღალტექნოლოგიური და თავდაცვის სფეროთა კოოპერაციის შეწყვეტა თავისთავად გამოიწვევს უკრაინის ექსპორტის 2 მილიარდი დოლარით შემცირებას. ეს დარგები მჭიდროდაა დაკავშირებული რუსეთის თავდაცვის სფეროსთან.

ევროკავშირის ალტერნატივად მოსკოვი კიევს ერთიან საბაჟო კავშირს სთავაზობს. სპეციალისტების აზრით, ამ კავშირში შესვლით უკრაინა, ყოველწლიურად, 10 მილიარდი დოლარით იუმჯობესებს სავაჭრო ბალანსს. მარტო ნავთობსა და გაზზე გადასახადების გაუქმებით, უკრაინა საკუთარი ბიუჯეტიდან დაზოგავს 6-დან 10-მილიარდამდე დოლარს. წლიურად, დაახლოებით 2-3 მილიარდ

დოლარს მოუტანს უკრაინას ერთიანი საბაჟო კავშირის ქვეყნებში საკუთარი პროდუქციის შეტანა.

და კიდევ ერთი რამ, უკრაინის აქილესის ქუსლი - გაზით მომარაგება. რუსეთთან თანამშრომლობა უკრაინას მოუტანს ათას კუბ.მეტრ გაზის ფასის 170-180 დოლარამდე შემცირებას, ისეთს, როგორც აქვთ ბელორუსს და სომხეთს.

უკრაინა უსერიოზულესი არჩევანის წინაშეა - დღევანდელი კვერცხი, რომელიც ქათამს სჯობს თუ ხვალინდელი ქათამი? ორჭოფობა უკრაინის ხელისუფლების ჩვეული მეთოდია. ზოგი ამას მოსკოვ-ბრიუსელს შორის ვაჭრობად აღიქვამს. შესაძლოა ეს ასეც იყო, მაგრამ დღეს, სწორედ გაუთვლელი, პრიმიტიული ორმხრივი „თამაშის“ შედეგად უკრაინა გამოუვალ ჩიხში მოიქცა.

ეკონომიკური გაუსაძლისობა, დასავლეთის მიერ აბუნტებული ოპოზიცია, ასოცირების ხელშეკრულებაზე დამატებით ხელის მოწერა ერთის მხრივ ანუ პროდასავლური კურსის გამარჯვება და მეორეს მხრივ - ჯერაც დუმილში მყოფი აღმოსავლეთ უკრაინა - ხარკოვი, დნეპროპეტროვსკი, ზაპოროჟიე, ოდესა - მძლავრი სამრეწველო პოტენციალით, მოძველებულით, მაგრამ მაინც, რუსეთთან მჭიდრო თანამშრომლობით.

თუმცა აღმოსავლეთმა ეს დუმილი დაარღვია და იანუკოვიჩის მხარდასაჭერად შაბათ-კვირას კიევი უზარმაზარი მიტინგი გამართა. მათი მთავარი მოთხოვნა არის - შორს ევროკავშირიდან! მათ კარგად იციან, რომ თუ ასოცირებული წევრობის ხელშეკრულებას მოეწერება ხელი, დაიშლება რუსეთთან ურთიერთანამშრომლობა. ამას ითხოვს ევროკავშირი. გაწყდება კავშირები და დადუმდება ქარხნები, მძიმე მრეწველობის გიგანტი კომბინატები. უმალ შეიქმნება უმუშევრობა, ასეულ-ათასობით მუშა-მოსამსახურე შეავსებს კიევის ქუჩებს საპროტესტო მიტინგებით, საბოლოო ჯამში ხელისუფლების დამხობის მოთხოვნით.

ზოგიერთი უკრაინელი ექსპერტის მიხედვით, „უკრაინის სახელმწიფოებრიობის მზე ესვენება“ და ეს პროცესი მხოლოდ ხელით მართვის გზით „რეგულირდება“, ვინაიდან სახელმწიფო მართვის სისტემა მოიშალა. საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობისკენ მოწოდება, უკრაინის დასავლეთის ზოგიერთი ქალაქის მერიის და ადგილობრივი მმართველობის ანტისახელმწიფო გადაწყვეტილებების მიღება, ნათლად მეტყველებს სისტემის მოშლაზე.

ყველაფერი ეს ხელისუფალთა მიერ გადადგმულ მცდარ ნაბიჯზე მიანიშნებს - მომიტინგეთა წინააღმდეგ გადამეტებული ძალის გამოყენების სახით. ფაქტიურად, იანუკოვიჩის ვილნიუსიში გამგზავრების დროს მიტინგი ჩამცხრალი იყო. მაგრამ. . . გაიცა ბრძანება მიტინგის დასაშლელად. გაილახა სტუდენტობა.

გაილახა და არა დაიხოცა, მაგრამ უკრაინა საქართველო არ არის. მოსახლეობამ ვერ აიტანა ხელისუფლების ძალადობა და გამოვიდა ქუჩაში - არა ასოცირებისთვის, არამედ იანუკოვიჩის ჩამოგდებისთვის. აქ უკვე ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ დაშავებული სამართალდამცავების რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე მომიტინგეების, რომ „ბერკუტის“ ქმედება, პასუხი იყო დასავლეთში ნავარჯიშები, კუნთმაგარი ნაციონალისტური ათასკაციანი არმიის შეტევაზე. ოპოზიციამ და დასავლეთმა მათთვის ჩვეული ოსტატობით აიტაცეს ეს ფაქტი და ატრიალეს მედიაში.

ჩვეულებრივ მომიტინგეებს, რომლებსაც ნაკლებად აღელვებთ პოლიტიკა, აღელვებთ გაუარესებული საკუთარი მდგომარეობა. აღელვებთ, ის, რომ უკრაინის საგარეო ვალი 70 მილიარდი დოლარია და ის, რომ ქვეყნის ეკონომიკა კისრისტეხით მიექანება დეფოლტისკენ.

ამბუნტებლად, უკრაინელები სერგეი ლევოჩკინს თვლიან - პრეზიდენტის ადმინისტრაციის უკვე ყოფილ უფროსს. ის, იანუკოვიჩის ვილნიუსში ყოფნის დროს გადადგა, პროტესტის ნიშნად. მილიარდერ ფირტაშის გუნდის წევრმა, აშშ-თან და ევროკავშირთან მთავარმა მომლაპარაკებელმა, უკრაინელი ნაციონალისტების ერთ-ერთმა მთავარმა მოთავემ, ვერ აიტანა იანუკოვიჩის უარი ხელმოწერაზე.

ვერ აიტანა არა იმიტომ, რომ პრეზიდენტის დასავლურმა კურსმა არ გაამართლა, არამედ იმიტომ, რომ მას არაფერი დარჩა სათქმელი დასავლელი დამრიგებლებისთვის - რამ გამოიწვია იანუკოვიჩის უარი. ლევოჩკინი ხომ დასავლეთს უმტკიცებდა საწინააღმდეგოს?! როგორც ამბობენ, სწორედ მან გასცა სიტყვიერი ბრძანება დემონსტრანტთა ძალით დაშლის თაობაზე. ადმინისტრაციის უფროსის გადადგომასთან ერთად უკრაინის პარლამენტის უმრავლესობის „რეგიონა პარტიის“ რიგები დატოვა 4 პარლამენტარმა, ე.წ. „ფირტაშის“ ხალხმა.

არც უმრავლესობის ფრაქციაშია საქმე დაწყობილი. ხალხი უკმაყოფილებას გამოთქვამს უმრავლესობის მიმართ. მას კორუფციაში ადანაშაულებს, გარდა ამისა რუსეთის მიმართ წინასაარჩევნოდ აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობაში. არადა, კაცმა რომ თქვას, ისინი, სწორედაც პრორუსულობის გამო აირჩია ხალხმა და არა პროდასავლურობისთვის. მათ მიმართ ხალხს ტონა კომპრომატი აქვს, უამრავი პრეტენზია. ხალხი ამხელს მათ აფერიზში, კორუფციაში. ხალხი თვლის, რომ ისინი ცუდი ხელმძღვანელები არიან.

ხალხი გამოვიდა ქუჩაში - ყოველივე კარგი, ყოველივე ცუდის საწინააღმდეგოდ. ხალხის ამ განწყობას თავი მოუყარა კომპანია „GFK Ukraine“. მისი მიხედვით, უკრაინელთა 27% - სძულს ხელისუფლება. მთავრობისადმი სიმპატია არც აღმოსავლეთში შეინიშნება. გარდა ამისა 8%-დან 4%-დე შემცირდა იმათი

რაოდენობა, ვისაც ერიდება ან ემინია მთავრობის. პოლიტიკური ელიტისადმი სიმპათიას მოსახლეობის მხოლოდ 1% გამოთქვამს.

მძიმე სურათია ხელისუფლებისთვის. ეს ისეთი მღვრიე წყალია, სადაც იოლად იჭერს თევზს დასავლელი პოლიტექნოლოგიები, მრავლად ჩასულნი უკრაინის დედაქალაქში.

ხელისუფლება დღესაც ორჭოფობს, თუმცა, აიძულებს ევროკავშირს ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით. რას მოიტანს ეს, ჩიხში მოქცეული უკრაინისთვის? ძნელი სათქმელია, ვინაიდან ნანატრი ევროპული ბედნიერებისკენ გზა, აზაროვის განმარტებით, არაუმცირეს 10-წლიანია.

უკრაინის რუსეთისგან ჩამოშორება ამ უკანასკნელისთვის არცთუ სახარბიელო პერსპექტივაა, როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. მოსკოვმა ვერადავერ ჩამოაყალიბა პოლიტიკა ყოფილ საბჭოელებთან მიმართებაში. რუსეთში არსებული ლიბერალური ძალები დღენიადაგ გაჰყვირიან ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან ყოველგვარი ძველებური ურთიერთობების აღკვეთაზე.

ისინი მხარს უჭერენ ისეთ ურთიერთობებს, როგორებიც რუსეთს აქვს დასავლეთის ქვეყნებთან, რაც პოლიტიკური თვალსაზრისით კრემლისთვის მიუღებელია. თუ მხედველობაში მივიღებთ რუსეთის მიმართ დასავლეთის ერთობ არამეგობრულ დამოკიდებულებას, სამომავლო გეგმებს, რომლის მიხედვით, რუსეთი სუსტ ქვეყნად უნდა იქცეს, კრემლის პოლიტიკა სახელმწიფოებრიობით არის განპირობებული ანუ სახელმწიფოს გადასარჩენად.

სახელმწიფოს უპირველესი ამოცანაა მეზობლად ისეთი სახელმწიფოების ყოლა, რომლებთანაც ლოიალური დამოკიდებულება იქნება. ევროპასთან ასოცირებული უკრაინა, მოლდოვა, თუნდაც საქართველო ამის ნაკლებ საბაბს იძლევა. მეტოქე ევროპა, აშშ-თან ერთად, ყველაფერს იღონებს რუსეთის დასაძაბუნებლად.

რუსეთისთვის უკრაინის ჩამოშორება, ეკონომიკური თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი დანაკარგი იქნება, ვინაიდან სამხედრო მრეწველობისთვის საჭირო კომპონენტები, საბჭოეთიდან მოყოლებული, უკრაინაში მზადდება. კავშირების გაწყვეტის შემთხვევაში მოსკოვს მოუწევს ახალი ქარხნების აშენება, რაც დიდ ფულთან არის დაკავშირებული. მაგრამ ეკონომიკურ დანაკარგთან პოლიტიკური, ახლოსაც ვერ მივა. და რომ ეს არ მომხდარიყო, კრემლს ადრე უნდა ეფიქრა.

რა მოუტანა 2013 წელმა საქართველოს?

29/12/2013

ძველი და ახალი წლების მიჯნაზე თვალს ავლებ გასულს და სამომავლოდ ახალ გეგმებს სახავ. ქვეყანაც ასეა - ადამიანებისგან შემდგარი. მასაც აქვს რაღაც გასახსენებელი, ღირშესანიშნავი, რაღაც მნიშვნელოვანი გასაკეთებელი. როგორც ქვეყანას, ისე თითოეულ მის მოქალაქეს ამოძრავებს მთავარი - იმედი უკეთესად ყოფისა, წარსულში აუსრულებელი ოცნების, მომავალში რეალიზებისა.

უკვე ისტორიის კუთვნილებად მიჩნეულ 2013 წელსაც ჰქონდა რაღაც ისეთი, მომავალში რომ გავიხსენებთ, თუმცა ამ „რაღაცაში“ კარგად გასახსენებელი მოკრძალებული რაოდენობისაა. ისე სწრაფად გაირბინა 2013 წელმა, მთავრობამ ვერც კი მოასწრო უამრავი დანაპირებიდან თუნდაც მცირედის შესრულება. აქტიურ „შრომაში“ გართულს უცბათ შემოედარცვა 365 დღე და რომ წლიური ციკლი ერთით მეტი ყოფილიყო, საახალწლო სუფრაზე უდავოდ ფართო ასორტიმენტს შემოგვთავაზებდა. რა გაეწყობა, ისევ მომავალს უნდა დაველოდოთ.

ლოდინი და იმედი კაცობრიობის არსებობის უმთავრესი მამოძრავებელი ძალაა. რაღაცის მოლოდინსა და იმედში გადის ჩვენი ცხოვრება. გადის სწრაფად, უმოწყალოდ. 2013 წლის მთავარი მოლოდინი და იმედი ბიძინა ივანიშვილი იყო. 2012 წლის პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წარმატებამ განაპირობა ეს.

საქართველო ის ქვეყანაა, რომელიც ხელმძღვანელებზე, ლიდერზე, „ბელადზე“ ამყარებს იმედს. საქართველო არ არის ის ქვეყანა, არჩევნებში, რიგით პოლიტიკოსზე რომ გაამახვილებს ყურადღებას. მას ლიდერი, წინამძღოლი უნდა.

2012 წელს ხალხმა თავის ბელადად მილიარდერი, ქველმოქმედი, ბიძინა ივანიშვილი აირჩია, უარი თქვა რა „ქარიზმატული“ ლიდერის, სააკაშვილის პარტიაზე - შიშის ზარს რომ სცემდა ქვეყანას.

ხალხის ლოგიკა მარტივი იყო - მილიარდერი, მრავალი წლის განმავლობაში ინტელიგენციის დამაპურებელი, კულტურის ძეგლთა სიჯანსაღეში უდიდესი წვლილის შემტანი. კაცი, ფიზიკურად უცნობი, მაგრამ კეთილი საქმეებით ცნობილი. სიტყვის კაცი. ხალხი ენდო მას, გაჰყვა მას და წინასაარჩევნო პროგრამით მოხიბლული, მთელი თუ არა, გასული წლის ნახევარი, მისგან მოსალოდნელი დანაპირების ასრულებაზე ფიქრს გადააყოლა.

გასული წელი საქართველოს ისტორიას შემორჩება ორად გაყოფილ წლად. პირველში, იყო ივანიშვილის მთავრობის მიერ კონკრეტული საქმეების კეთების მოლოდინი. მეორეში, გაცრუებული მოლოდინით გამოწვეული ჭმუნვა. მოგვიანებით მას დაემატა ივანიშვილის მიერ იმ განცხადების გამოორება, რომელიც მან პოლიტიკაში შემოსვლისთანავე გააკეთა - დავალაგებ ვითარებას და ერთ-ორ წელიწადში წავალ.

მიუხედავად ამისა, ხალხს მაინც არ სჯეროდა ივანიშვილის წასვლა, ვინაიდან ახსოვდა სხვა განცხადებაც - მომწონს პოლიტიკა, ბიზნესს თავს დავანებებ და პოლიტიკაში ვიქნებიო.

ივანიშვილის წასვლის მიზეზს არაერთხელ შევეხებით მომავალში. იქნება მსჯელობა, თავის მტრევა, მაგრამ არ იქნება პასუხი ზუსტი და გასაგები - რატომ? პოლიტიკოსთა ნაწილმა, განსაკუთრებით „ოცნებიდან“, ლიდერს მოუწონეს გადაწყვეტილება - აქაოდა ამით ქვეყანაში შეიქმნება პრეცედენტი ხელისუფლებიდან ნებაყოფლობითი წასვლისაო.

იყო სხვა მოსაზრებაც - გადაწყვეტილების არასერიოზულობა. ხალხმა „ოცნებას“ ივანიშვილის ხათრით მისცა ხმა. მას (ხალხს) არ მიუცია ხმა კოალიციაში შემავალი პარტიებისთვის, განსაკუთრებით რესპუბლიკელებისთვის. ხალხი ივანიშვილისგან ელოდა დაპირების ასრულებას და არა „ოცნების“ აჯაფსანდალისგან.

ივანიშვილის წასვლა ხალხისთვის უდიდესი იმედგაცრუება იყო, მაგრამ არანაკლები - ხალხისთვის ულტიმატუმის წაყენება - არ აირჩევთ მარგველაშვილს 60-ზე მეტი პროცენტით და ის მეორე ტურში არ მიიღებს მონაწილეობას. ასე და ამრიგად, ივანიშვილმა დაგვიტოვა ყველასთვის უცნობი პრეზიდენტი, უცნობი პრემიერ-მინისტრი, რეკომენდაცია გაუწია ერთ-ერთ „ოცნებელს“ ქალაქ თბილისის მერობაზე.

ივანიშვილის ამბიციური სურვილების დაკმაყოფილებას ხალხი მორჩილად შეხვდა, თუმცა იყო გაოცებაც და გაოცებიდან გამომდინარე - იმედგაცრუებაც. იმედგაცრუება თვალშისაცემი გახდა ახალი ხელისუფლების ავადმყოფური სიხარბის შედეგად.

უზნეობა და ღორმუცელობა ახალს, ძველი ხელისუფლებიდან გადმოჰყვა. დედის რძესავით შეირგო ახალმა ხელისუფლებამ - მოსვლიდან ორი თვის თავზე, „მუყათი შრომისთვის“ გამოწერილი პრემიები, მომატებული ხელფასები, საკუთარი ორგანიზმის გადასატან-გადმოსატანი ძვირადღირებული ავტომანქანების შეძენა, უძვირფასესი მობილური ტელეფონებით საკუთარი პერსონის აღჭურვა, კაბინეტების გარემონტება და ა.შ.

ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს უკაცრიელ უდაბნოში დაიწყეს „მოღვაწეობა“, არადა ამ საკითხში ხომ ბადალი არ ჰყავდა ნაცურ ხელისუფლებას? ის, რაც მათ „ეფექტიანი“ მუშაობისთვის ჰქონდათ სახელმწიფოდან მიღებული, სახლში ხომ არ წაუღიათ? უშიშროების საბჭოს ახალი მდივანი იმერლიშვილი მოურიდებლად აცხადებს - თითქმის 80-ათასიან „ტოიოტას“ სახლში ხომ არ წავიღებო. ჩემს თანამდებობას ეკუთვნის ასეთი რამო. ნეტავ რა საშიში საქმის წინაშეა უშიშროების საბჭოს მდივანი, რომ ძვირადღირებულმა „ჯიპმა“ იხსნას?

არც ახალი მთავარი პროკურორი ჩამორჩა „დროს“. აქაოდა შოვნააო და უმაღლეს იმერლიშვილის „ჯიპზე“ ორჯერ ძვირი ავტომანქანა ამოიღო საჯდომქვეშ. არადა მთავარ პროკურორს ეკუთვნის. როდესაც მისი ზემდგომი კოლეგები უდიპლომაობას და ყაჩაღობას პატიობენ, „ჯიპი“ რა არის?!

და ეს ყველაფერი გალღეტილ, მშიერ საქართველოში - მეზობელ ქვეყნებთან შედარებით უმდაბლესი პენსიით, უსუსტესი სოციალური პირობებით და რაც მთავარია გაურკვეველი მომავლით. უცნობი, თანაც ხარბი მოხელეების გამოჩენამ, ხალხს ხელისუფლებისადმი მბეჭუტავი იმედიც ჩაუქრო და იმედგაცრუებულმა ისევ თავის ნაჭუქს მიაშურა, ჩაიკეტა და ჩათვალა, რომ ახალი ხელისუფლება არ შეუსრულებს დანაპირებს - არც სამართლიანობას აღადგენს, არც ნაცთა მიერ წაგლეჯილ სიმდიდრეს დააბრუნებს, არც ნაცებს დასჯის, თითო-ოროლა ნაცის დაკავება, განაჩენის გამოტანა და თავისუფლების აღკვეთა არ არის.

2013 წელი „კოჰაბიტაციური“ წელი იყო, რომელმაც სრულად, თუ არა ნაწილობრივ მაინც შეაჩერა დამნაშავე ნაცების დასჯა და არათუ შეაჩერა, მთავარ ოპოზიციურ ძალად გადააქცია.

2013 წელს თავისუფლად შეიძლება ეწოდოს კოჰაბიტაციის დასავლელ ავტორთა შეუნიღბავი პარპაშის წელი. ვინ არ იყო აქ? ყველა ისინი თავხედურად იცავდნენ კრიმინალ ნაცებს, მოუწოდებდნენ ხელისუფლებას შემწყნარებლობისკენ. მათმა „ძალად მაცხოვნებამ“ გაჭრა. ჯერ იყოდა ივანიშვილმა განაცხადა - ისინიც ამ ქვეყნის შვილები არიან და უნდა შევინდოთო, შემდეგ - პრეზიდენტის არჩევნები და ნაცთა სრული რეაბილიტაცია. მეორე ადგილზე გასვლამ ნაცებს ახალი სული შთაბერა, რაც თვალნათლივ ჩანს მათ ყოველდღიურ ქცევაში. 2013 წელს თავისუფლად შეიძლება ეწოდოს ნაცთა რეაბილიტაციის წელი.

2013 წელი ნაცთა ბელადის, სააკაშვილის უსაგნო ხეტიალის, ავანტიურისტული განცხადებების, სახელმწიფო ჯილდოების, საქართველოს მოქალაქეობის „უპრაგონო“ მინიჭების წელიც იყო. უფლებამოსილებით შეკვეცილი პრეზიდენტის ქცევამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ის იმაზე მეტი გამოდგა, ვიდრე სააკაშვილისგან ელოდა ხალხი.

სააკაშვილმა დაგვანახა, როგორი არ უნდა იყოს პრეზიდენტი. სააკაშვილმა დაგვანახა, რომ ცხრა წლის განმავლობაში ქვეყანა მისი „ხომის“ გასასწორებელი ინსტრუმენტი იყო, რომ ქვეყანა მეწველი ძროხაა, საკუთარი „სტომაქის“ ამოსაყორად.

სააკაშვილმა დაგვანახა, რამდენად სახიფათოა ამბიციური, გადაქანებული, ბოროტი ადამიანის პრეზიდენტობა. დაგვანახა, მაგრამ ნეტავი დიდხანს გაგვყვება სააკაშვილის გულბოროტი მმართველობა? და თუ არა, ამერიკიდან დაბრუნებული ახალი ენერჯით გვეკვითება.

2013 წელი ახალი მთავრობისა და პარლამენტის გამოცდის წელიც იყო. სამწუხაროდ, დიდით ვერაფრით დაგვამახსოვრეს თავი, გარდა ერთისა, მათი პოლიტიკური ვექტორიც ისეთივე იყო, როგორც წინამორბედის. საზოგადოება ივანიშვილისგან პოლიტიკური ვექტორის შეცვლასაც მოელოდა, ანუ დასავლეთთან ბატონყმური ურთიერთობების შესუსტებას, რუსეთთან დამოკიდებულების გაუმჯობესებას.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების რუსულ ბაზარზე გატანა „რადაც“ არის, მაგრამ არა ის, რასაც ველოდით. ნაციონალთა ოპონირებით შეშინებულმა ხელისუფლებამ მეტი ვერ გაბედა. რაც შეეხება რუსეთს, არც ის დარჩა კმაყოფილი. ახალი ხელისუფლებიდან უფრო მეტს მოელოდა.

საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელის განცხადებით, ქვეყნისთვის უდიდესი რამ მოხდა 2013 წელს - პარაფირება გაუკეთდა ევროკავშირის ასოცირებული წევრობის დოკუმენტს, რაც თავისთავად გაზვიადებული რამ არის, რამეთუ ასოცირებული წევრობა, ნამდვილ წევრობას არ ნიშნავს. თვით ნამდვილი წევრობაც კი არ იძლევა ესოდენი ჟივილ-ხივილის საბაზს, ფანჯიკიძემ და მისმა კოლეგებმა რომ ატეხეს.

თვალი შევავლოთ ევროკავშირის წევრ ბულგარეთსა და რუმინეთს, მათ დანგრეულ ქარხნებს, განადგურებულ მრეწველობას და სოფლის მეურნეობას, აუტანელ სოციალურ პირობებს. ლუკმაპურის საშოვნად ევროკავშირს მოდებულ ბულგარელებსა და რუმინელებს. სულ ახლახანს ტელეკომპანია „ბი-ბი-სი“-მ ერთსაათიანი გადაცემა მიუძღვნა ამ ქვეყნებს, სათაურით - რუმინელები მოდიან.

შეშინებული ინგლისი ელდასავით ელოდება 2014 წლის იანვარს - ბულგარეთ-რუმინეთის შენგენის უვიზო ხელშეკრულებასთან მიერთებას. იანვრიდან ამ ორი ქვეყნის მოსახლეობას ევროკავშირში თავისუფალი გადაადგილების საშუალება მიეცემა. სწორედ ეს აფრთხობს ინგლისს, ვინაიდან შიშობს, ბულგარეთ-რუმინელების მასობრივ მოზღვავებას, რაც, მათი აზრით, გაზრდის კრიმინალს, თვით ინგლისელებს წაართმევს სამუშაო ადგილებს და სხვა.

ბულგარეთ-რუმინეთს ევროკავშირის „ოქროს ხელი“ არ ეტყობათ, ვინაიდან ასეთი, არ იყო გათვალისწინებული ბრიუსელის მხრიდან. და როდესაც ევროკავშირის წევრი ქვეყნები ერთობ მძიმე დღეში არიან, რა მოგველის ჩვენ - სამომავლო ასოცირებულ წევრს?

თუმცა ქართველობა უფრო წინდახედული გამოდგა. რახანია გავანადგურეთ ფაბრიკა-ქარხნები. იქ არსებული ჩარხ-დანადგარები, ჯართის სახით საზღვარგარეთის გზას გავუყენეთ. საქართველო ადრე გათავისუფლდა „შავი“ წარსულისგან, გაცილებით ადრე, ვიდრე შვედეთი და პოლონეთი მოიფიქრებდნენ „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ მზაკვრულ გეგმას, რომლის უმთავრესი მიზანი პოლიტიკაა და არა ეკონომიკა, ანუ რუსეთის გავლენის სფეროს შეკვეცა.

ასოცირებული წევრობა არის მოსკოვის ორბიტიდან გამოსვლა და ევროკავშირიდან დისტანცირება, ანუ მოსკოვის გავლენიდან გამოსული ქვეყანა ევროკავშირში კი არ შედის, არამედ შესვლისთვის რიგში დგება, უვადოდ, ხანგრძლივად. და რიგში დგომის დროს უყოყმანოდ ასრულებს ბრიუსელის დავალებებს.

ქართული პოლიტიკა აღტაცებულია ვილნიუსის სამიტიტით და თვლის, რომ დიდი საქმე გააკეთა. რომ იტყვიან, შავი და თეთრი აბანოში გამოჩნდება, მაგრამ, როცა გამოჩნდება, გვიან იქნება!

2013 წელს საქართველომ ე.წ. დამოუკიდებლობაზე უარი თქვა და რეალური დამოკიდებულება აღიარა. მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ, სხვის დაქვემდებარებაში ხანგრძლივმა ყოფნამ, ღრმად გაიდგა ფესვი თითოეულ ქართველში. და როდესაც ამ სენის განკურნების თავი არ გვაქვს, სხვას უნდა გადავბაროთ ქვეყნის მართვის სადავეები.

რჩევის სახით, იქნებ ქართულ პოლიტიკაში გაგვეზიარებინა ფეხბურთში არსებული გამოცდილება და ქვეყნის სამართავად (მწვრთნელად) უცხოელი პოლიტიკოსი მოგვეწვია. ურიგო არ იქნებოდა, თუ ის მთავრობაში „მოთამაშე“ მინისტრებსაც უცხოეთიდან მოიზიდავდა.

სააკაშვილს ხომ ჰქონდა ამის მცდელობა? მის დროს ყველა სამინისტროს ჰყავდა უცხოელი მრჩეველები. გახსოვთ ალბათ, საქართველოს ელჩი გერმანიაში, თუ არ ვცდები, ავსტრიელი ქალბატონი იყო - მერკელს მშობლიურ ენაზე დაელაპარაკებო. ამ ლოგიკით ნებისმიერი გერმანელი პრიორიტეტულ პოზიციაში უნდა იყოს კანცლერინის კარზე.

2013 წელს განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ უცხოელი დიპლომატები და პოლიტიკოსები. ისინი „უპრაგონოდ“ ხელს აფათურებდნენ

საქართველოს საშინაო საქმეებში. ამ მხრივ დიდი ენერჯია გამოავლინა აშშ-ს ელჩმა ნორლანდმა, ევროკავშირის ელჩმა დიმიტროვმა, ამერიკელმა სენატორმა მაკკეინმა, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მუშაკებმა, ნატოს ექსპერტებმა, სხვებმა.

ევროატლანტიკური სივრცის წარმომადგენლები საქართველოში თავს ბატონებივით გრძნობენ და ასე იქნება მომავალში. დღეს ისინი გვკარნახობენ - რა უნდა ვაკეთოთ, მაგალითად რუსეთთან მიმართებაში, ახლო აღმოსავლეთის საკითხებში, მეზობლებთან დამოკიდებულებაში.

სწორედ ამ კარნახით საქართველომ ნულზე დაიყვანა ირანთან ურთიერთობა, კვლავ შემოიღო რა სავიზო რეჟიმი. როდესაც საზღვარზე მოსულ ირანელ კინემატოგრაფისტებს უკან გააბრუნებ, რჩევით - ვიზისათვის თეირანში არსებულ საქართველოს საელჩოს მიმართეთო და ისიც სამდღიან ვიზას გასცემს. როდესაც, დასავლეთის რჩევით, საქართველოს ბანკები ირანელ ბიზნესმენებს ფულს გაუყინავენ, როდესაც ქართული მხარე ირანელ ტურისტებს აიძულებს ხელი აიღონ საქართველოში ჩამოსვლაზე, ნათლად მეტყველებს, რა დონის საგარეო პოლიტიკა გვაქვს. ამ სიბრიყვეების შემოქმედი მინისტრი თავს უფლებას აძლევს არაპროფესიონალური დემაგოგიური აზრები მოგვახვიოს.

განვლილი წელი სხვა მსხვილმან-წვრილმანი ამბებზეთაც იყო აღსანიშნავი, მაგრამ ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. დასასრულს მოკლედ ვიტყვი იმედსა და იმედგაცრუებაზე. საზოგადოებას იმედი ჰქონდა ივანიშვილის, მაგრამ ის წავიდა, განერიდა პოლიტიკას და მასთან ერთად წავიდა სამართლიანობის აღდგენა, გადასახადების შემცირების, ბენზინზე ფასების დაკლების, წამლებისა და მედიკამენტების გაიაფების დანაპირები ზღაპარი. მოხდა „ნაციონალური მოძრაობის“ რეაბილიტაცია. ფაქტიურად ის დაკანონდა როგორც მთავარი ოპოზიციური პარტია.

ენერგომატარებლებზე განხორციელებული ფასდაკლება იმდენად მიზერული გამოდგა, რომ საზოგადოება ამას ხელისუფლების დიდ მიღწევად არ მიიჩნევს. ანალოგიურ მდგომარეობაშია სოფლის მეურნეობისთვის გაწეული დახმარება. არაკომპლექსურობამ და ნაკლებმრავალფეროვნულობამ დიდი ეფექტი ვერ მოიტანა.

სუსტი იყო საკადრო პოლიტიკა, რამაც დასაწყისშივე იჩინა თავი. რა იქნება მომავალში, მნელი სათქმელი არ არის.

გასული წელი ლიბერალური აზროვნების განვითარების და პროპაგანდის წელიც იყო, რამაც მასობრივი სახალხო გამოსვლა ააგორა და ჩვენს დასავლელ „მეგობრებს“ დაანახა, რომ საქართველო კერკეტი კაკალია, მასთან სხვა ენის გამონახვა საჭირო, ვიდრე ლიბერალურის.

ისტორიას ჩაბარდა 2013 წელი, აუსრულებელი ოცნებების წელი. ბედნიერებასა და იმედების ასრულებას გისურვებთ ახალ 2014 წელს!

საზოგადოების გამოსათყვანებელი ახალი აზი

04/01/2014

პოზიტიური თვალსაზრისით, დიდი ვერაფერი გამოდგა სულ ახლახანს ჩამთავრებული, 2013 წელი. ისე, როგორც ყოველთვის, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, მრავალი იყო დაპირება და დაპირების მიზერული შესრულება.

გასული წლის მთავარ დაპირებათა შორის 100-ზე მეტი ქარხნის მშენებლობა იყო - ბიძინა ივანიშვილმა რომ შემოგვთავაზა. შემოგვთავაზა და ჩვენც გულუბრყვილო სიხარულით მივიღეთ, თანაც უყოყმანოდ, ყოველგვარი კითხვის გაჩენის, მითუმეტეს დასმის გარეშე - რატომ მაინცდამაინც 100 და არა 150 ან 99 - სუპერმარკეტებში გამეფებული ციფრი - ამერიკიდან, ხალხის თვალის მოსატყუებლად და მყიდველის მოსახიბლავად შემოსული?

მაგრამ ჩვენ, ხალხი, მყიდველი ხომ არ ვართ? ჩვენ, ხომ ის ვართ, ქვეყანა რომ გვქვია?! ქვეყანა მარტო მთავრობა არ არის, ქვეყანა ხალხიცაა, რომელსაც საკუთარი არსებობისთვის, საბოლოო ჯამში, ქვეყნის არსებობისთვის, საარსებო პირობების შექმნა სურს. სურს, მაგრამ სად არის?

ნერწყვმომდგარი ველოდებით მამა-მარჩენალთა უხვ დანაპირებს, შურით შევყურებთ ჩვენს საზღვრებს გარეთ სხვა ხალხთა ცხოვრებას და მაინც ვფიქრობთ, რომ ოდესმე ასრულდება მილიონი სამუშაო ადგილი ან ასი ქარხნის აგუგუნება.

წარმოების შექმნა არა მარტო დასაქმების მომასწავებელია, წარმოების, ხელის და ტვინის განძრევის საშუალებაცაა და როდესაც ხელს და ტვინს არ ანძრევ, ხავსი გეკიდება. ოთხმოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული ინტენსიურად მიმდინარეობს ჩვენი დახავსება.

ვიღაცას აწყობს ეს. ვიღაცა, ოთხივე ყოფილი ხელისუფალის ხელით, მოხერხებულად აკეთებდა ჩვენთვის სახიფათო საქმეს - გეგმა-ზომიერად, თანმიმდევრულად, გულმოდგინედ. და ჩვენც, ჩვენის ბედოვლათობით, უწიგნურობით, დღევანდელი პურით კმაყოფილნი, მზად ვიყავით და ვართ ვაკეთოთ ის, რასაც ზემოდან ჩაგვძახებენ. ანუ არაფერი ვაკეთოთ, ვიყოთ მორჩილნი და დამჯერნი, პირში შევციცინებდეთ ყველა ხელისუფალს და მის „გუნდს“.

მანც რა საზარელი, არასასიამოვნო სახე შეიძინა პოლიტიკაში გამოყენებულმა სიტყვა „გუნდმა“?! რა აქვს მას საერთო შრომასთან, პატიოსნებასთან, ნოვაციასთან, სიცოცხლისათვის საჭირო მოძრაობასთან? არც არაფერი. განვლილმა წლებმა ზედაპირზე ამოატივტივა „გუნდის“ ღორმუცელობა, მზაკვრობა, მომხვეჭელობა, გაუტანლობა, საკუთარი თავის საზოგადოებრივზე, საქვეყნოზე წინ დაყენება, ამოატივტივა როგორც ნეხვი წყალზე. შევყურებთ ამ ნეხვს, გუნდად წოდებულს და არ ვიცით, რა ვქნათ, რა მოვუხერხოთ. შესაძლოა ვიცით, მაგრამ ძალა არ შეგვწევს.

და კიდევ ერთი რამ. ჩვენ რომ ვყოფილვით მათ ადგილას, სხვაგვარად მოვიქცევოდით?

ხშირად ჩაგვესმის ხმა, სადღაც დან, მოწოდებას რომ ჰგავს - სიცოცხლე ხანმოკლეა, ბედნიერების შანსიც იშვიათი და თუ ის გიჩნდება, არ მოერიდო, აიღე, შეირგე, განა ეს არ სჯობს პატიოსნებას? და ჩვენც ვიღებთ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, უმრამდესობა რომ სულელს უწოდებს. ვიღებთ ისე, უკან რომ არ ვიხედებით, ვშიშობთ, სხვამ არ მოგვასწროს, არ წაგვართვას.

მამა-მარჩენალნი კი აუღელვებლად, უშფოთველად შეჰყურებენ საკუთარი „გუნდელების“ განუზომელ სიხარბეს, ვინაიდან ზემოთნახსენები ხმა ზეციდან ჩასძახის - თქვენც მიბაძეთ. პირველთა მადა შეუმჩნეველია. ასე და ამრიგად შენდება სასახლეები, მრავლდება უძვირესი ავტომანქანები, ათკეცდება უცხოური ვოიაჟები ხალხის ხარჯზე - დამშეულის და ლოდინში მყოფის.

მანც რამდენი ასეთი „გუნდელის“ გაბედნიერებას მოვესწართ მეორე და მესამე ხელისუფალის პირობებში და ახლაც ვესწრებით. პირველს არ დასცალდა - მცირედი დროით იმეფა. ყველა მათგანი გვიმტკიცებდა - თქვენ რომ კარგად იყოთ, ჩვენ უნდა ვიყოთ კარგადო. ჩვენ თუ არ ვიქენით მაღალი ხელფასებითა და სხვა საშუალებებით უზრუნველყოფილნი, თქვენს უზრუნველყოფას როგორღა შევძლებთო. და მიმდინარე წლისათვის დაიწესეს მილიარდზე მეტი ლარი, ასი ათასზე მეტი სახელმწიფო ბედოვლათის გამოსაკვებად.

„ჩემი სამსახური მოითხოვს ძვირფას მანქანას, ძვირფას ტელეფონებს და კომპიუტერებს, თქვენ რომ გემსახუროთ“, - ბრძანა ვიღაც იმერლიშვილმა - გაურკვეველი, რაღაც საბჭოს (უშიშროების რომ ჰქვია) მდივანმა. ან რა ფუნქცია აქვს ამ ორგანოს, მთავრობის, პრეზიდენტის, პარლამენტის არსებობის პირობებში?

მავანნი იტყვიან - აშშ-ი, სხვა ქვეყნებშიც არის და ჩვენ ხომ არ ჩამოვრჩებითო?! აშშ-ი ქვეყანაა, დიდი და პირველი მთელს მსოფლიოში. შენ? მიკროსკოპული, მშიერ-მწყურვალი, გაღატაკებულ-გაჩანაგებული. ის, ქვეყანაა, შენ ქვეყნობას თამაშობ. გინდა, რომ ფორმით მისფერი იყო, მარტო ფორმით და არა საქმით.

ხალხის გარდა, გამოუჩნდა ვინმე კრიტიკოსი ჭარბწონიან ქალბატონს? პირიქით, მისმა „გუნდელებმა“, როგორც ერთმა, დაიცვა ის - საქმეს სჭირდებაო. „საქმეს სჭირდება“, - თქვეს მამა-მარჩენლებმა, მმართველობის სამი შტოს თავებმა. არც ერთს აზრად არ მოსვლია, რომ „უშიშროების“ საბჭოს ახალი მდივნის საქციელი საშიში და მიუღებელია, როგორც მათთვის, ისე ქვეყნისთვის. არც ერთ მათგანს არ უთქვამს - პატივცემულო იმანო, პირადი ბედნიერების მოტრფიალევ, შენი ადგილი სახელმწიფო სტრუქტურაში არ არის. გათავისუფლდი სახელმწიფო „დარდისგან“ და მიეცი საკუთარ „ნიჭს“ გასაქანი თავისუფლებაზე.

მაგრამ არის ამის მთქმელი პრეზიდენტი - საკუთარი ხელფასის მომმატებელი? ან პარლამენტის თავმჯდომარე, რომელიც „პატიოსნად“ წაივაჟკაცებს საჯაროდ, ყველას გასაგონად - მე არ დავუშვი, თორემ პარლამენტარები დაბეჯითებით ითხოვდნენ წლის ბოლოს პრემიების „მიცემასო“. ფული საიდან? ამ შემთხვევაში სეროჟას პასუხი - „ტუმბოჩკიდან“, სიმწრის სიცილის თუ არა, სიმწრის ღიმილის გამომწვევი მაინც იქნება.

„ტუმბოჩკა“ პარლამენტის ბიუჯეტია, რომელსაც აუარება სალადობო ხარჯებში სასწაულად შემორჩა სოლიდური თანხა. შემორჩა და პარლამენტარებმაც, ხალხზე ზრუნვით დამაშვრალეებმა, იფიქრეს საკუთარ თავს მოვახმაროთ, რომ ხალხს უკეთესად „მოვემსახუროთო“. ვის გაუგია „მშიერი“ მოხელის სამსახური? მამლარი, უფრო სწორად, ჭამისგან გამსკდარი იმუშავებს „თავდადებით“ ქვეყნისა და ხალხისთვის - აპა არა?

დიახ! სახელმწიფო მოხელეს უნდა ჰქონდეს მაღალი ხელფასი, მაგრამ პენსიასა და საშუალო ხელფასთან შედარებით, ამდენი?! რაც მართალია, ახალმა მთავრობამ მოსვლისთანავე მიხედა თავს, ვითომ გააუქმა ყოველთვიური პრემიები, ხელფასზე ორჯერ დიდი, ყოფილები რომ აძლევდნენ საკუთარ თავს, მაგრამ ნაცვლად პრემიებისა მოიმატა ხელფასები. რით არ არის ნოვაცია?

კიდევ ერთი „საგმირო“ საქმე, რაც ახალმა ხელისუფლებამ ჩაიდინა - ნათესავ-მეგობრების სამსახურში „გამწესება“. რით არის ეს ხელისუფლება წინამორბედისგან განსხვავებული? თუ წინამ „უარყო“ ყოველგვარი ნათესაური კავშირი და კურსი „პროფესიონალიზმზე“ აიღო, ახალს რა, არ უნდა გაეგრძელებინა ძველის „კეთილშობილური“ საქმე? და მანაც არ დააყოვნა, დევიზით - ვინ იცის, სხვა დროს, როდის გაჩნდება შანსიო?

ნერწყვმომდგარ საზოგადოებას პატივცემულმა ბიძინამ დასამშვიდებელი აბები უბოძა, შემდეგი სიტყვებით - ჩვენ ქართველები ვართ, ტრადიციების მიმდევარნი. და ნათესავების დანიშვნა არ უნდა გაგვიკვირდესო. „კარგ“ ტრადიციას

მიყვებით რახანია - ბრიყვი ნათესავის, პროფესიონალზე გადაჯდომას და ამ საქმეს წარმატებით ვაკეთებთ.

ისე, სადღაა პროფესიონალები? სამუშაო ადგილების ლოდინში ზოგი რას მიაწყდა და ზოგიც რას. ზოგი „ელიავას“ ბაზრობაზე „მოღვაწეობს“, ზოგიც „ლილოს“, ზოგიც სახლში ზის და თავის მსგავსებთან ერთად დომინოს თამაშში, კლავს დროს - ძვირფასს და დაუბრუნებელს.

რა უნდა ერქვას სახელმწიფოს, რომელიც ესოდენ „ზრუნავს“ მოსახლეობის სამუშაო ადგილებით უზრუნველსაყოფად? შეუძღგარი! სხვა შესაფერის განსაზღვრებას ვერ მოძებნით. შეუძღგარია ქვეყანა, სადაც მისი მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა მხოლოდ ერთი ადგილის ფხანით არის დაკავებული, სადაც ის ზედმეტად, ხორცმეტად გრძნობს თავს. სადაც საშუალო და მეტი ასაკის ადამიანს აბუჩად იგდებს ახალგაზრდა, სადაც პროფესიონალი საჭირო აღარ არის. სადაც პროფესიონალიზმი ჟანგით არის დაფარული.

საქართველო ყოფილ საბჭოთა სივრცეში ნოვატორი გამოდგა მეზობელ რუსეთთან ყველა კავშირის, უმთავრესად ეკონომიკურის გაწყვეტაში. ამ პროცესში იყო სუბიექტურიც და ობიექტურიც, საბჭოთა ინფრასტრუქტურის შეუთავსებლობა დამოუკიდებლობის სტატუსთან და საქართველოს მთავრობის უგერგილობაც, ანაღვლეობაც, უცოდინარობაც და ნაკლები სურვილი ხელის განძრევისა.

მათ ისიც აკმაყოფილებდათ, რაც ჰქონდათ ბიუჯეტში - საკუთარი თავისთვის. მათ აკმაყოფილებდა ის, რითაც თავმოყვარე არც ერთი ხელისუფლება არ დაკმაყოფილდებოდა. და დადგა ქვეყანა ერთ ადგილას, გაიყინა სოფლები და ქალაქები, დაიკარგა საბჭოეთის დროს გამოზრდილი, განსწავლული კადრები. ისინი ყოფილ საბჭოთა სივრცეს, ლუკმაპურის საშოვნად მიაწდნენ. გაუსაძლის პირობებში შეძლეს ფეხის მოკიდება.

შეძლეს და დარჩნენ იქ, სადაც არიან. განახევრდა ისედაც მცირე მოსახლიანი საქართველო. ქვეყნის დემოგრაფიული სურათი სხვა პარამეტრებითაც საგანგაშოა, მაგრამ ამისთვის ვერავინ იცლის, უპირველესად ხელისუფლება. ის ვერაფრით ხვდება, რით არის გამოწვეული სოფლებისა და ქალაქების დაცლა, რით არის გამოწვეული სოფლების გაქრობა, რით არის გამოწვეული თბილისის თავკომბალობა ან მოსახლეობის ქვეყნიდან გადინება.

მავანი დამამშვიდებს - სხვაგანაც ასეა, ეს 21-ე საუკუნის დამახასიათებელიაო. გლობალიზაციას ახლავს მიგრაცია. პატარა ერების, კიდევ უფრო დაპატარავება. მაგრამ ჩვენ, ჩვენი გვაქვს სატირალი, სადარდებელი. მაგალითად მოყვანილი გლობალიზაციის „სიკეთეები“ თავის გასამართლებლად არ გამოდგება.

რა თავში ვიხლით ბალტიისპირა ქვეყნების ლიტვის, ლატვიის და ესტონეთის მოსახლეობის შემცირებას, ევროკავშირის სხვა ქვეყნებში გაწოვით, როდესაც ჩვენი გვაქვს სადარდებელი. რა თავში ვიხლით ევროპელთა ერთსქესიან ქორწინებას, როდესაც ჩვენც იგივე გვექადნება, ისინი ბევრნი არიან - აიტანენ, ჩვენ? ისედაც სიმცირეში დარჩენილნი, გავუძლებთ გლობალიზაციის შემოტევას?

ქვეყანა, სადაც ორი მეზობელი ქვეყნის სისხლი და ხორცი საუკუნეობით ცხოვრობს, თანაც საცხოვრისი ქვეყნის სულიერებისგან დაშორებული, მეზობლად მყოფი, საკუთარი სისხლისა და ხორცისკენ სულიერ-პოლიტიკურად მომზირალი, რომ განუზომელი პრობლემების წინაშეა, რა დიდი გამოსაცნობია?

დამოუკიდებლობის წლებმა კარგი ვერაფერი მოგვიტანა მათთან საერთო ენის გამოძებნის მხრივ. ჩვენთვის ისინი უცხოელებია, მაგრამ მათი აზრით, ისინი რომ სამშობლოში არიან?! დიახ! ისინი სამშობლოში იყვნენ და არიან და რომ ეს ასეა, სხვა გააზრება გვმართებდა, სხვა მიდგომა, სხვა პოლიტიკა. როდესაც სომხურ-აზერბაიჯანული მოსახლეობა ქართულის მასწავლებელს ითხოვს და ვერ მიგივლინებია, წინდაუხედავი ვარ. რეალური ვითარების მდარე, ზერელე შემფასებელი.

იქნებ ეს ზერელეობა იყო მთავარი, გარდა სხვა სიბოროტისა, რომელმაც წერტილი დაუსვა აფხაზებისა და ოსების ჩვენთან ყოფნას? 2008 წლის აგვისტოს, ადრე, გაცილებით ადრე ჩაეყარა საფუძველი, თუნდაც „სოვეტიზაციის“ პირველ წლებში, მაგრამ მაშინ კრემლში მყოფმა ქართველობამ შეძლო ამ პრობლემის მოგვარება.

გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოსაც იჩინა თავი აფხაზურმა სეპარატიზმმა და მაშინაც კრემლმა ივარგა, ცხადია ქართველების გარეშე, ვინაიდან პოლიტიკა იყო ისეთი - მტკიცე, ერთიანი კავშირისათვის, მტკიცე, ერთიანი მოკავშირე რესპუბლიკების ურღვევობას რომ იზიარებდა.

არის დღეს ჩვენი შორეული „სტრატეგიული პარტნიორი“ ამერიკა და შედარებით ახლობელი ევროპა ერთიანი საქართველოს მხარდამჭერი? სიტყვით, ნამდვილად, საქმით, ნამდვილად არა! და რომ არა სხვის მაგალითს შევხედოთ, უფრო სწორად მათ ნამოქმედარს სხვაგან, მაგალითად: ყოფილ იუგოსლავიაში, ჩეხოსლოვაკიაში. ამ ორი ქვეყნიდან რამდენი ჯუჯა „სახელმწიფო“ მიიღო მსოფლიომ? და ეს ყველაფერი ჩვენი სტრატეგიული „პარტნიორის“ პირდაპირი თუ ირიბი ძალისხმევით. იქნებ მსგავსმა მიდგომამ გაააქტიურა ისედაც სეპარატისტულად განწყობილნი ესპანეთში, ბელგიაში, დიდ ბრიტანეთში, სხვაგან?

პატარ-პატარა ქვეყნები რომ სამართავად იოლია, კარგად იციან აშშ-ი. ჰეგემონს, ბოლო წლების საფინანსო-ეკონომიკური პრობლემებით დაავადებულს,

უჭირს შედარებით დიდ ქვეყნებთან გამკლავება, ღია თუ ფარული, მეტადრე ფარული პაექრობა. მისთვის გაერთიანებული და მტკიცე ევროპა ისეთივე კონკურენტია, როგორც ჩინეთი ან რუსეთი. მისთვის დანაწევრებული, პრობლემებიანი რუსეთი და ჩინეთი უფრო მისაღებია, ვიდრე ისეთი, როგორც დღეს. რა გაეწყობა, მსოფლიო პირველობა, ჰეგემონობა მოითხოვს ყოველივე ამას.

პირველობის განმტკიცებისთვის საჭიროა შეიარაღებული ძალების მუდმივი მშენებლობა, არმიის ახალი იარაღით აღჭურვა, მსოფლიო ბაზარზე დოლარის დომინირებისთვის ხელის შეწყობა და სხვა. მაგრამ სხვა დიდებიც რომ ფხიზლად არიან და დღენიადაგ იღვწიან საკუთარი პოზიციების განმტკიცებისთვის, უპირველესად სამხედროს?!

გასული წლის ბოლოს კრემლმა პერმანენტულ მორიგეობაში ჩააყენა ახალთ-ახალი სარაკეტო სისტემა, წყალში ჩაუშვა ბირთვული წყალქვეშა ნავეები, დააჩქარა უახლესი იარაღით ჯარის შეიარაღება. არც ჩინეთი ჩამორჩა თანამედროვე გამოწვევებს. მისი სამხედრო ხარჯები თვალშისაცემადაა გაზრდილი და ახალ წელსაც გაიზრდება, რაც თავისთავად მეტყველებს, რომ ამერიკის მეტოქე სხვა დიდი და ძლიერი პოზიციას არ დათმობს.

რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა ჟურნალისტებთან პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ რუსეთი არ იბრძვის ჰეგემონიისთვის, სუპერობისთვის, მაგრამ მან ხომ უნდა გაუძლოს გამოწვევას? არიან რუსეთში ისეთებიც, ე.წ. ლიბერალები, რომლებიც „დერჟავობას“ არ იზიარებენ, მაგრამ უმრავლესობა რომ ასეთი არ არის.

ერთხელ ჩრდილო-კორეამ განაცხადა - ბალახს შევჭამთ, გავიჭირვებთ, მაგრამ საკუთარ ატომურ ბომბს შევექმნითო. ჩრდილო-კორეისა არ იყოს, რუსეთიც ასეთია, უმრავლესი რუსი და არა მარტო რუსი, ასეთია ჩინელი, იაპონელი, ფილიპინელი, თუნდაც ამერიკელი, სხვები, ვისაც ესმის სამშობლოს რაობა.

ჩვენ? ჩვენ სხვაგვარად ჩავვიჩინებენ, სხვა პროპაგანდას გვიტარებენ, სხვას გვახვევენ თავს. ჩვენ უნდა ვიყოთ ტოლერანტები, მამათმავალთა, დედათმავალთა პატივისმცემნი, სხვის მიმართ თვალში შემციცინენი, მათთვის საკუთარი მიწების მიმყიდველნი და ა.შ.

საქართველოში აშშ-ს ელჩმა ნორლანდმა დაიწუნა პარლამენტის გადაწყვეტილება მიწების ჰარი-ჰარად გაყიდვის საწინააღმდეგოდ - ეს რა დემოკრატიააო. მას, სხეულის ერთ ადგილზე ჰკიდია ისედაც მცირემიწიანი ქართველის მიერ, გაჭირვებით გამოწვეული მეწველი მიწის გაყიდვა, პირიქით, ხელს უწყობს გონებადაბინდულ ქართველობას ამ არაპატრიოტულ საქმეში.

მაგრამ ეს ნაკლები უბედურებაა იმასთან შედარებით, რაც ელჩის „დემოკრატიულ“ განცხადებას მოაყოლა ზოგიერთმა „ღრმად“ განსწავლულმა ქართველმა ექსპერტმა, თინეიჯერულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა - „ასე, ევროპული ყაიდის ქვეყანას ვერ ავაშენებთო“, - მოთქვამდნენ ისინი და მოუწოდებდნენ საზოგადოებას, რაც შეიძლება სწრაფად გაეყიდათ მიწები. აფერუმ თქვენს „პატრიოტულ“ შემართებას.

„თუ დასავლეთი მიწების გაყიდვას გვთხოვს, ასეთი არც ევროპა მინდა და არც მათი კავშირები“, - აცხადებს ანზორ თოთაძე, პროფესორი, დემოგრაფიული საკითხების სპეციალისტი და რაც ყველა ტიტულზე მაღლა დგას - სამშობლოს პატრიოტი.

სამწუხაროდ, ცოტანი არიან ასეთები და ვინც არის მედიასთან არ აჭაჭანებენ. არ სურს ვიღაცას ამ თემაზე ლაპარაკი. არ სურს საღათას ძილში მყოფი ერის გამოღვიძება. პირიქით, მზად არის დიდი დოზით, მეტი საძინებლის მისაცემად და ვიდრე ჰორიზონტალურ პოზაშია, ევროკავშირშიც შესათრევად, საკუთარი მიწა-წყლის იძულებით უცხოელებისთვის მისაყიდად.

„ეს ევროპული ოჯახი არაფრის მომცემია. პირიქით, აქ შეიძლება პროცესები უკუღმა შემოტრიალდეს და არამართო დემოგრაფიულად მივიღოთ უარესი სურათი, არამედ ტერიტორიულადაც“, - წერს ბატონი ანზორი და იქვე ამატებს: „ჩვენ უნდა გადავარჩინოთ ერი არამხოლოდ სულიერად, არამედ რაოდენობრივადც... საქართველო გადაშენების პირასაა“.

ბატონი ანზორს შემდეგი ოფიციალური მონაცემებიც მოაქვს, მაგალითად, აზერბაიჯანი იზრდება 34 პროცენტით, თურქეთი - 20 პროცენტზე მეტით, ხოლო სომხეთი - 7 პროცენტით. საქართველო? საქართველო მცირდება 28 პროცენტით. და ამ დროს აკვიატებული პარაფირება, ევროკავშირის ასოცირებული წევრობისთვის თავდავიწყებული, ბრმა ლტოლვა, საქართველოს მოსახლეობისთვის დღენიადაგ ჩიჩინი. რა ბედნიერებაა, რაღაც კავშირში შეტენვა, რომლის არც არაფერი გაგვეგება და არც არაფერი ვიცით.

უცხოურ გრანტებს დახარბებული მთავრობა, არასამთავრობო ორგანიზაციები, ე.წ. ექსპერტობა, დაქოქილ თოჯინასავით ჩაგვჩიჩინებენ - აბა თქვენ იცით, ქართველებო, ღმერთი არ გაგიწყრეთ, არ აწყენინოთ ჩვენ დასავლელ პარტნიორებს, თორემ ასოცირებულები ვერ გავხდებით.

ევროპას რომ აღმოსავლეთით გაფართოება არ უნდოდეს, „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ გეგმას არ შეიმუშავებდა. უნდა მას ჩვენი და ჩვენი მსგავსი ქვეყნების ბრიუსელზე მიბმა და რაც არ უნდა უკმაყოფილო იყოს საქართველოს ქცევით, ის

მინც გვიბოძებს ასოცირებულ წევრობას, საკუთარი, პოლიტიკური ამბიციების დასაკმაყოფილებლად.

როგორც ხელისუფლება გვპირდება - ასოცირებული წევრობა შესაძლოა ვადაზე ადრე მოგვცენ. ხარობს „გუნდი“, არანაკლებად „გუნდის“ თავები. ამ ფრიად „სასიხარულო“ მოვლენას მეორეც დაემატა - ნატოს სამიტი თავის ახალი ინსტრუმენტით საქართველოსთვის.

გასული წლის დასასრულს, თავდაცვის მინისტრმა ბრძანა - წელს ისეთი ნაყოფიერი ნაბიჯები გადავდგით ნატოსთან დაახლოების კუთხით, რომ ბრიუსელი დავაფიქრეთ - საპასუხოდ რა მივცეთ საქართველოსო. და როგორც შევიტყვეთ, ახალ ინსტრუმენტს გვაძლევენ.

იქნებ არ მიღება და დროის გაჭიმვა საქართველოს წისქვილზე ასხამს წყალს? იქნებ, ვიდრე ამ ორგანოზაციებში არ ვართ, სერიოზულად ვიფიქროთ იქ ყოფნა-არყოფნის საკითხზე? იქნებ ამასობაში რაღაც შეიცვალოს ჩვენს პოლიტიკურ შეგნებაში ქვეყნის სასარგებლოდ?

ამ „იქნების“ შესრულებისთვის დრო არის საჭირო, მაგრამ გაცილებით მეტი დრო იქნება საჭირო იქ შესვლისათვის. ნატოს კარი კი ღიაა საქართველოსთვის, მაგრამ ზღურბლზე ჯან-ღონით სავსე ახმახი ნატოელი ჯარისკაცებია, რომელთაც გვერდს ვერ აუვლით. და რახან ვერ აუვლით, იქნებ „ტკბილ“ ზღაპრებზე (რამდენად ტკბილია, ვინ იცის?) ფიქრს შევეშვათ, ხელები დავიკაპიწოთ და საკუთარი ცხოვრების შენებას შევუდგეთ.

თუ ვინ და როგორ ელის საქართველოს ნატოში, გარკვევით ითქვა აშშ-ს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის ყოფილი მოადგილის, ამჯერად ნატოს საკითხებში ექსპერტის ჩარლზ კუპჩანის მიერ: „ნატო არ არის იმ ვითარებაში, როდესაც საქართველოს გაწევრება აქტუალური საკითხების ნუსხაშია. საქართველოს საკითხი გადადებული საკითხების ნუსხაშია, რადგან ეს თემა ნატოსა და რუსეთს შორის დამაბულობას იწვევს და აგრეთვე აზრთა სხვადასხვაობაა საკუთრივ ნატოში იმის შესახებ, როდის ან საერთოდ აქტუალური უნდა გახდეს თუ არა საქართველოს გაწევრების თემა. არ ვიტყვოდი, რომ საქართველოს გაწევრიანება უახლოეს მომავლის საქმეა“.

რაც შეეხება საქართველოში ნატოს სამოკავშირო ოფისის ხელმძღვანელ უილიამ ლაპიუსს - ის აცხადებს, რომ „ტერიტორიული მთლიანობის გარეშე ნატოში შესვლა თეორიულად შესაძლებელია. ამ შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლებამ უნდა მიიღოს პოლიტიკური გადაწყვეტილება ამ ტერიტორიების სტატუსის შესახებ. ცალკეული პირები ამ შესაძლებლობაზე უკვე ლაპარაკობენ. მათ ეჩქარებათ ნატოში აფხაზეთისა და სამხრეთ-ოსეთის გარეშე შესვლა“.

მაინც რატომ ეჩქარებათ? რუსეთის მოსალოდნელი აგრესიიდან თავის გადასარჩენად? რაც თავისთავად სააკაშვილის ხელისუფლების ჭარბი პროპაგანდის ნაყოფია. ნატოში შესვლა მშვიდობის გარანტია ვერ იქნება. შიშის გასაფანტად მოლაპარაკებაა საჭირო, რაც არ ჩანს.

გასული წლიდან გადმოყოლილი პრობლემები

09/01/2014

იმ პოლიტიკური საკითხებიდან, რომლებმაც გასულ წელს მსოფლიოს ყურადღება მიიპყრეს, უკრაინის და ირანის იყო. ამ ორიდან კი მეტადრე ირანის, ვინაიდან მჭიდროდ იყო დაკავშირებული ახლო აღმოსავლეთში და არა მარტო იქ, არამედ მთელს მსოფლიოში ომისა და მშვიდობის საქმესთან. უკრაინის მოვლენები რეგიონული ხასიათისა იყო, თუმცა დიდი გავლენით ევროკავშირ-რუსეთის ურთიერთობებზე.

ირანის საკითხი რახანია მოწინავეობს მსოფლიოს სხვა საკითხებთან ერთად. ირანის საკითხი სწორედ ისაა, მრავალი წლის განმავლობაში რომ ძილს უფრთხობს აშშ-ს და მის ევროპელ თუ აზიელ მოკავშირეებს. ირანის საკითხი ერთი წლით, თუნდაც გასულით არ შემოიფარგლება, მას მრავალწლიანი, ფართო მასშტაბები აქვს.

უკრაინის საკითხი ახალია, თუმცა, როგორც ჩანს, არც ის შემოიფარგლება გასული წლით და გაგრძელებას 2014 წელსაც პოვებს.

ირანისა და უკრაინის საკითხები მეტნაკლებად საქართველოსაც ეხება, ვინაიდან გლობალიზაციამ და ისტორიულმა კავშირებმა თავისთავად განაპირობეს ჩვენი და ამ ქვეყნების ურთიერთობა.

საქართველო-უკრაინის კავშირებმა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სხვა ელფერი შეიძინა. განსაკუთრებული სიმკვეთრე რუსეთთან ურთიერთობების გაუარესებამ გამოიწვია. საქართველო-უკრაინა იდეოლოგიურადაც დაუკავშირდა ერთმანეთს ე.წ. „ფერად-ყვავილოვანი“ რევოლუციების შემდეგ.

იდეოლოგიური დაახლოების ინიციატორები და შემოქმედნი ოკეანის გადაღმელები იყვნენ. თითქმის 10 წელიწადია ეს ძალები აქტიურად უწყობენ ხელს ორი ქვეყნის ერთმანეთთან დაახლოებას და მათ სერიოზულ დაშორებას ყოფილი საერთო ცენტრიდან. დისტანცირების თვალსაზრისით საქართველომ ფორა მისცა უკრაინას და რაც კავშირები ჰქონდა რუსეთთან, თითქმის ნულამდე დაიყვანა. უკრაინამ ეს ვერ შეძლო, რიგი ობიექტური მიზეზების გამო, უპირველესად ეკონომიკური.

საქართველოს ეს პრობლემა არ აღეგნებას, რამეთუ ეკონომიკა რახანია ბაზრის ვაჭრობის დონეზე დასული, ხოლო რაც შეეხება ეკონომიკურ კავშირებს რუსეთთან - 20 წელიწადია ჩამი-ჩუმი არ შეინიშნება.

საქართველომ ერთის დარტყმით გაწყვიტა კავშირები, რაც უკრაინამ ვერ მოახერხა და ვერ მოახერხა იმიტომ, რომ რუსეთთან მას მჭიდრო ურთიერთობები აქვს აერო-კოსმოსურ დარგში, საავიაციო მშენებლობაში, გემთმშენებლობაში, მანქანათმშენებლობაში და ა.შ.

საქართველოსთვის ნაკლებად მტკივნეული გამოდგა რუსეთთან ეკონომიკური კავშირების გაწყვეტა, ვინაიდან შევარდნაძე-სააკაშვილის ხელისუფლება ამ საქმეში რუსეთს ადანაშაულებდა, ვიდრე საკუთარ თავს. გარდა ამისა, უკრაინასთან შედარებით, საქართველოსთან რუსეთის ეკონომიკური კავშირები მიზეზური იყო.

რუსეთთან კავშირების გაწყვეტას პოლიტიკური სარჩულიც ედო - აფხაზეთის ომში რუსეთის მხრიდან აფხაზეთისთვის მხარის დაჭერა. ასე თვლიდა და თვლის საქართველოს იმჟამინდელ-ამჟამინდელი ხელისუფლება. უფრო მეტიც, აფხაზეთის ომში ისინი მოწინააღმდეგედ არა აფხაზებს, არამედ რუსეთს მიიჩნევენ.

საქართველოს კავშირებს რუსეთთან წერტილი დაუსვა 2008 წლის ომმა, ტერიტორიების ოკუპაციამ და აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებამ. ისე, როგორც აფხაზეთის ომში, ცხინვალის ომშიც ქართული მხარე რუსეთს ადანაშაულებს.

დამოუკიდებლობის წლებში საქართველო-რუსეთის ურთიერთობების დრამატული მომენტები, თავისთავად განაპირობებს რუსეთთან თითქმის ნულის დონეზე არსებულ კავშირებს, რასაც ვერ ვიტყვით უკრაინაზე. უკრაინა-რუსეთის ურთიერთობები ნაკლებად შეიძლება შეფასდეს დრამატულად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დასავლეთ უკრაინის აშკარა ანტირუსულ განწყობას.

ეკონომიკური კავშირების გაწყვეტის ერთ-ერთ ფაქტორად, საკუთარი ხალხისადმი საქართველოს ხელისუფალთა უპასუხისმგებლო დამოკიდებულებაც შეიძლება ჩაითვალოს. კავშირების გაწყვეტამ თავისთავად გამოიწვია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დადუმება, უმუშევრობა, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუარესება, თუმცა ნეგატიურ შედეგს ხელისუფლება მედგრად შეხვდა - ისარგებლა რა ხალხის გაუთვითცნობიერებლობით, სამოქალაქო თვითშეგნების უმდაბლესი ხარისხით.

მთავრობას თავში აზრადაც არ მოსვლია ხალხისთვის განემარტა, რას აკეთებს ის, გაუარესებული ყოფის გასაუმჯობესებლად, ან აკეთებს თუ არა რამეს, ან რატომ უნდა განემარტა, როდესაც არავინ ითხოვდა ამას?

ხალხის ქარაფშუტული მიდგომა საკუთარი სოციალური მიდგომარეობისადმი გახდა საბაზი შემდეგი სახის განცხადებისა, რომელსაც ხშირად ჰქონდა ადგილი „ბრძენი“ ქართველი ექსპერტების მხრიდან - საქართველოს მოსახლეობა არასოდეს გამოვა სოციალური პრობლემების მოგვარებისთვის. თითქოს, სირცხვილი ყოფილიყოს აუტანელი ცხოვრების პირობების გაპროტესტება. არადა, თუ ვინმე, სადმე გამოდის და მოითხოვს, სწორედ სოციალური პირობის გაუმჯობესებაა.

უკრაინამ ვერ გარისკა რუსეთთან ეკონომიკური კავშირების გაწყვეტა, ვინაიდან მას, უდავოდ მოჰყვებოდა მილიონობით ადამიანის უმუშევრობა, სოციალური ბუნტი. უკრაინამ ვერ გარისკა, ვინაიდან ხელისუფლება გაცილებით მაღალი პასუხისმგებლობის მატარებელი გამოდგა, ვიდრე საქართველოს.

უკრაინის ხელისუფლებამ ვერც შარშან გარისკა და თავი აარიდა ვილნიუსის დოკუმენტის ხელმოწერას, რომელიც ავტომატურად გამოიწვევდა რუსეთის შეკვეთების შემსრულებელი ქარხნების გაჩერებას.

უკრაინის ხელისუფლებამ თავი შეიკავა ევროპის ასოცირებული წევრობის დოკუმენტის ხელმოწერისგან, რითაც განარისხა აშშ-ი და ევროკავშირი და არა მარტო ისინი, არამედ მათ მიერ ამხედრებული უკრაინული ოპოზიციაც. კიევის ცენტრში დღესაც მიტინგია - გასული წლიდან გამოყოლილი.

გაბედავს საქართველოს ხელისუფლება იმას, რაც უკრაინისამ გაუბედა დასავლეთს? მტკიცედ შეიძლება ითქვას - არა. არა, იმიტომ, რომ საქართველო რახანია დასავლელთა მიერ „დემოკრატიის ნაკრძალად“ არის გამოცხადებული. არა, იმიტომ, რომ ისედაც უმუშევარ საქართველოს მეტი უმუშევრობა არ ემუქრება. არა, იმიტომ, რომ თუ რამ წარმოება იყო, რახანია დუმს და თუ რამ დასანგრევი იყო, დიდი ხანია დაინგრა და გაიძარცვა, ხოლო მანქანა-დანადგარები თეთრებად გაიყიდა უცხოეთში, მეტადრე ჯართად.

არა, იმიტომ, რომ საქართველოს მთავრობა დარწმუნებულია - ხალხი „პურის“ მოთხოვნით არ გამოვა. არამედ, იმიტომ, რომ საქართველოს მთავრობას უყვარს ევროკავშირ-ამერიკა და მზად არის მათი ხათრით, ასოცირებული წევრობით, ხანგრძლივად იდგეს გაწევრების რიგში. მთავრობისგან რა მიდის. თავის თავისთვის სარჩო-საბადებელს ის უდავოდ მიიღებს - კარგი სამსახურისთვის, დასავლელი „პარტნიორებისგან“.

თუ რას მიიღებს ხალხი - ძნელი გამოსაცნობი არ არის - თავისუფალი ვაჭრობის სიკეთეებს, ანუ უკონკურენტო ევროპულ საქონელს, რაც ძირშივე ჩაკლავს ადგილობრივ წარმოებას. შეძლებს ასეთ ვითარებაში ქართული ღვინო ან მინერალური წყალი თავის გადარჩენას? შეძლებსო, დამარწმუნებენ. ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი.

ისე, როგორც უკრაინას, საქართველოსაც გასული წლიდან გადმოჰყვა „ასოცირებული“ ციებ-ცხელება. მთელი წელიწადი არა აგვცდება ამ საკითხის ყოველდღიური შეხსენება. ხელისუფლება ისე მოქმედებს, ვითომ რაღაც პრობლემა აქვს შინ და გარეთ. შინ - ასოცირებით უკმაყოფილო მოსახლეობით, გარეთ - ასოცირებით უკმაყოფილო რუსეთის სახით. არადა ერთიც და მეორეც ისეა მოდუნებული, თითის განძრევაც ეზარებათ. მოსახლეობას - იმიტომ, რომ არ იცის, რა ხდება მის თავს. არ იცის რას ნიშნავს ასოცირებული წევრობა. ის, დღემდე ვერ გაერკვა, რა არის „პარაფირება“. მთავრობის პროპაგანდის წყალობით ის დარწმუნებულია „ასოცირება“ კარგ ცხოვრებას მოუტანს - დღევანდელზე ცუდი რაღა უნდა იყოს?

მეტი ქულების ჩაწერის მიზნით, ხელისუფლებას სურს ისეთი შიდა ვითარება დაუხატოს ევროკავშირს, თითქოს სერიოზული წინააღმდეგობის დაძლევა უხდება, მაგრამ წარმატებით ართმევს თავს. განსაკუთრებული პრობლემები აქვს მას მეზობელი რუსეთის მხრიდან, რომელიც დღენიადაგ ზის და ფიქრობს მხოლოდ ერთზე - რით ავნოს საქართველოს ასოცირებულ წევრობას.

ხელისუფლება დაბეჯითებით ხატავს რუსულ შემოტევას და ამ თავდასხმას წინა ხაზზე ანუ ფრონტზე საკუთარ თავს - ასოცირებისთვის ხმალამოღებული მებრძოლის სახით. როგორ არ უნდა დაეხმარო ასეთს? პატარა საქართველო, მეზობელ ურჩხულთან მეომარი, ნუთუ არ უნდა იმსახურებდეს მეტ დახმარებას, ცხადია ფულურს?!

ასოცირებული წევრობის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერამდე არ აგვცდება ე.წ. რუსული საფრთხის სისტემატური მოსმენა, ისე, როგორც პატარძალს პირველი ღამე. მაინც რა ბედნიერებაა, გყავდეს ისეთი მეზობელი, ყველაფერს რომ დააბრალებ. რუსეთს, ცხადია გულზე არ ეხატება ვინმეს ევროკავშირთან ასოცირება. მაგრამ, ის როგორმე აიტანს ამ „საშინელებას“, ჩვენ?

საქართველოს ხელისუფლებას რატომღაც უკრაინა მიაჩნდა და მიაჩნია ევროკავშირისკენ გზამკვლევადა, თუმცა იანუკოვიჩის გადაწყვეტილებამ - ყველასთვის მოულოდნელმა, თავგზა აუბნია. განსაკუთრებული გაწიწმამება ევროკავშირელ მოხელეებს დაეტყოთ. ხუმრობა ხომ არაა, მრავალწლიანი უკრაინული პროექტის ჩავარდნა. „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ პროექტში მთავარი ვიოლინო უკრაინა იყო - უდიდესი ბაზრით, 45 მილიონი მოსახლით. ევროკავშირის პროდუქციის გასასაღებლად უკრაინული ბაზარი მართლაც მისწრება იყო - მითუმეტეს ამჟამინდელ საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის დროს.

უკრაინის ხელისუფლების გადაწყვეტილებას ბევრი პუტინის გამარჯვებად აღიქვამს, ყოველ შემთხვევაში ამ ეტაპზე. გადაიქცევა თუ არა ტაქტიკური გამარჯვება

სტრატეგიულად - ბევრ რამეზეა დამოკიდებული, უპირველესად იმაზე, რამდენად იქნება მზად კრემლი უკრაინის ხელისუფლების თხოვნების დასაკმაყოფილებლად. თვით ეკონომიკურ პრობლემებში მყოფი რუსეთისთვის არცთუ იოლი იქნება უკრაინული სურვილების ასრულება.

გარდა ამისა, ნებისმიერი ხელისუფლება, ამ შემთხვევაში რუსეთის, ანგარიშს გაუწევდა უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებს, რომელიც 2015 წელს არის დაგეგმილი და ამ არჩევნებში იანუკოვიჩის ფაქტორს. არის იანუკოვიჩი ის კანდიდატი, რომელიც გაიმარჯვებს? იანუკოვიჩის ხელისუფლებისთვის დიდი ფულადი დახმარების გაწევა, ხომ არ იქნება ქარისთვის გატანებული?

ამას წინათ მოსკოვმა კუბას 32 მილიარდი დოლარის ვალი ჩამოაწერა. ამ ვალის გადახდა კუბისთვის შეუძლებელია. უკრაინა, კუბა არ არის, მაგრამ მისი ეკონომიკური მდგომარეობა უმძიმესია. შეძლებს რუსეთი, ფინანსური დახმარებით, იანუკოვიჩის გამარჯვებას და რამდენი დაჯდება ეს? და თუ არა, ღირს უპერსპექტივო იანუკოვიჩში ფულის ხარჯვა?

იანუკოვიჩის დამარცხების შემთხვევაში, უკრაინის სათავეში მოვლენ ისინი, ვინც ქვეყანას უმალ დასავლეთისკენ გააქანებენ. ზოგიერთი გამოკითხვის მიხედვით, ევროპასთან ასოცირებას მხარს უჭერს უკრაინელთა 39-დან 47%-ე. პოლარიზაციას ხელს უწყობს დასავლეთი, რამაც შეიძლება შიდა დაპირისპირება გამოიწვიოს. ამ შემთხვევაში, არც ევროპა და არც რუსეთი ინდიფერენტული არ იქნება.

პირადულ ვარიანტში იანუკოვიჩისთვის რუსული კრედიტი მისაღებია, ვინაიდან ევროპული - მკაცრად კონტროლდება, განსაკუთრებით მიზანმიმართულად ხარჯვის კუთხით. კრემლი არ თხოვს იანუკოვიჩს ტიმოშენკოს გათავისუფლებას, ევროპა თხოვს, რითაც მძიმე მდგომარეობაში აყენებს იანუკოვიჩის მომავალს. გარდა ამისა, ევროკავშირს არც კრედიტის გაცემის თავი აქვს. მას გასული წლის ბოლოს უკრაინისთვის 2 მილიარდი დოლარი უნდა მიეცა საგარეო ვალის ნაწილის დასაფარად, ხოლო, წელს თითქმის 8 მილიარდი დოლარი.

უკრაინის თემა, რომელიც გასული წლიდან 2014 წელზე გადმოვიდა, არაერთი დრამატული მოვლენით იქნება აღსავსე.

უკრაინულ თემას არათუ ჩამორჩება, არამედ უსწრებს კიდევ ირანის ბირთვული კვლევები. გასული წლის შემოდგომით დაიწყო ირანთან გაყინული ურთიერთობების ლღვობის პროცესი. ყველაფერს კი სათავე დაუდო საპრეზიდენტო არჩევნებში ლიბერალი ჰასან როუჰანის გამარჯვებამ, რომელმაც, პრეზიდენტად კურთხევის შემდეგ, უმალ მიჰყო ხელი წინასაარჩევნო დაპირების - დასავლეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება, შესრულებას.

ქენევაში გამართულმა მოლაპარაკებებმა შედეგი გამოიღო. დაიწყო ირან-დასავლეთის შერიგების პროცესი და ამასთანავე ურანის გამდიდრების სასურველ დონეზე შეჩერება, გარდა ამისა, ირანის ბირთვული კვლევის ობიექტების ინსპექტირება. თავის მხრივ აშშ-ა თანხმობა განაცხადა, მის ბანკებში გაყინული ირანული ფულის „გაცოცხლებაზე“.

ნახევარწლიანი გამოსაცდელი ვადა, რაც დასავლეთმა ირანს დაუწესა, წარმატებით შეიძლება დასრულდეს, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს ირან-ამერიკის, ირან-ევროკავშირის ახალი, პრაგმატული ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

სრული შესაძლებელია აღდგეს ირანის ნავთობის ექსპორტი ევროკავშირში, სხვა ქვეყნებში, რაც თავისთავად გამოიწვევს „ოპეკის“ მიერ შემუშავებული კურსის გადახედვას. ნავთობის საერთაშორისო ბაზარზე ირანული ნავთობის გამოჩენა ნავთობმომპოვებელი ქვეყნებისთვის ახალი თავსატეხი იქნება. არ არის გამორიცხული ნავთობზე ფასების შემცირებაც.

80-მილიონიანი ირანი მიმზიდველია, როგორც აშშ-ს, ისე ევროკავშირისთვის - პოლიტიკურად, ეკონომიკურად, სტრატეგიულად, ამიტომაც ჩქარობს დასავლეთი ირანთან ურთიერთობების აღდგენას. ჩვენ?

ჩვენ, პირიქით, ყოველმხრივ ვცდილობთ სააკაშვილის დროს არსებული კავშირების ნულზე დაყვანას. „ოცნების“ ხელისუფლებამ არა მარტო უვიზო მიმოსვლა, სავიზო რეჟიმით შეცვალა, არამედ ირანულ ბიზნესს გაუსაძლისი პირობები შეუქმნა. შემცირდა ტურიზმიც. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს საქართველოში არავინ იცის ირანთან დასავლეთის ახალი გეგმების შესახებ.

ამერიკაზე ჩამოკიდებული საქართველო იმდენად თვალდაბინდებულია, რომ ვეღარ ამჩნევს ირანთან დასავლეთის გამოსწორებულ ურთიერთობას. არადა საქართველოს ხელისუფლებამ, უცოდინარობით, გამოუსწორებელი შეცდომა შეიძლება დაუშვას. ირანის ისლამური ფაქტორი გასათვალისწინებელია, ისე, როგორც ამ ქვეყნის გავლენა ახლო აღმოსავლეთზე. ამას რომ თავი დავანებოთ, რატომ უნდა დავკარგოთ ქვეყანა, რომელიც დამოუკიდებლობის მიღების პირველსავე დღიდან მხარში ედგა საქართველოს?!

2013 წელს სხვა საერთაშორისო საკითხებსაც ჩაეყარა საფუძველი, რომლებიც 2014 წელს გაგრძელდება, მაგრამ მათზე სხვა დროს, სხვა სტატიაში.

რა დაკარგა ჩინეთმა კომუნისტური სისტემის შენარჩუნებით?

12/01/2014

როდესაც აწმყო გაუსაძლისია, როდესაც მომავლის პერსპექტივა გაურკვეველი და ბურუსით მოსილი, კაცი თავის დასამშვიდებლად წარსულზე ფიქრობს. წარსულზე, რომელიც არასდროს დაბრუნდება, ისე, როგორც შემოდგომით ხიდან ჩამოცვენილი გამხმარი ფოთლები ველარ დაფარავენ მის ტოტებს. მხოლოდ გაზაფხული მოიტანს ახალ სიცოცხლეს, რომელიც კვლავ მწვანე ფოთლებით შემოსავს ხეს.

საქართველოს მოსახლეობა უკვე მერამდენე გაზაფხულს ელოდება, ელოდება იმედით, მაგრამ ის ნანატრი გაზაფხული არ დგება და იმედგაცრუებული ჩაილაპარაკებს - რა კარგი დრო იყო.

სინანულით ჩამლაპარაკებელთა რაოდენობა დღითი-დღე კლებულობს - ცხოვრებისეული კანონიდან გამომდინარე და იმ გამხმარ ფოთოლს ემსგავსება, რომელიც ტოტს უკან ველარ შეაფრინდება. ახალი ფოთოლი, ახალ ცხოვრებას იწყებს, ისე, როგორც ადამიანი - სხვაგვარი მიდგომით, სხვაგვარი განცდით ცხოვრებისადმი. მისთვის წარსული, სხვათა მიერ გადმოცემული, დაუჯერებელი, მიუწვდომელია.

მიდის თაობა, რომელმაც სხვა სამყაროში, სხვა სისტემაში იცხოვრა - წინააღმდეგობებით აღსავსეში, მაგრამ მაინც ისეთში, ტვინს, ტკბილ მოგონებად რომ შემორჩა. გაივლის ხანი და ძველის გამხსენებელიც აღარავინ იქნება. ის ცხოვრება სახელმძღვანელოებში, წიგნებში შემორჩება, რომელსაც ან წაიკითხავენ, ან არა, ან დაიჯერებენ ან არა.

არადა მართლაც, ძნელია დაიჯერო ის, რაც იყო - მოსახლეობისთვის უფასოდ დარიგებული ბინები, მიზერული გადასახადები გაზზე, ელექტროენერგიაზე, წყალზე. ძნელია დაიჯერო ონკანიდან მოთქრიალე მდულარე წყალი, ცენტრალური გათბობით გალულუნებული ბინები, მარტის ბოლოს მოწუწუნე მოსახლეობა - გათბობა გამორთეთ, დავილრჩვითო. ძნელია დაიჯერო უფასო უმაღლესი სასწავლებლები, უფასო სამედიცინო მომსახურება, უიაფესი საგზურები ზამთრისა თუ ზაფხულის კურორტებზე და რაც მთავარია, გარანტირებული სამუშაო ადგილები, სტაბილური ხელფასები და ა.შ.

სოციალური მდგომარეობა - ადამიანის არსებობის უმთავრესი პირობა, აშკარად წონიდა კომუნისტური წყობისთვის დამახასიათებელ ნაკლოვანებებს. ფასს კარგავს ე.წ. დამოუკიდებლობა, როდესაც გაზი გაქვს, მაგრამ არ რთავ უფულობის გამო. შუქი გაქვს და არ ანთებ ძვირი გადასახადის გამო. გეჩქარება და ტაქსში არ

ჯდები სიძვირის გამო. აფსუს - კილომეტრზე ოცკაპიკიანი საბჭოთა ტაქსები, ან იაფფასიანი საქალაქო ტრანსპორტი?!

ძნელია გაათბო თუნდაც ერთოთახიანი ბინა, როდესაც შემოსავალი გაცილებით ჩამოუვარდება გათბობის გადასახადს. ძნელია არ იწუწუნო, როდესაც თვის ბოლოს ერთმანეთზე „მიკერებულ“ შუქის, წყლის და ნაგვის ქვითარს იღებ. აფსუს, საბჭოთა საქართველოს, რომელმაც არცკი იცოდა, ვის გაჰქონდა ნაგავი, მითუმეტეს ნაგვის ფული.

სულ რაღაც 20 წელიწადზე ოდნავ მეტი გვაშორებს იმ კომუნიზმიდან, რომელშიც ცვხოვრობდით და არ ვაფასებდით, თანაც დავცინოდით - ეს რა ცხოვრებაა, სად არის დანაპირები კომუნიზმიო. იმჟამინდელ-ამჟამინდელი ცხოვრების შედარებისას - იმ ცხოვრების მომსწრენი გულდათუთქულნი ამბობენ - კომუნიზმში გვიცხოვრიაო.

საბჭოური ცხოვრებისადმი პოზიტიური განწყობა ყველა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში, დღევანდელ დამოუკიდებელ ქვეყანაში იგრძნობა და თუ ჩვენში მას (განწყობას), ხელისუფალთა წყალობით, დიდი გასაქანი არ აქვს, სხვაგან გასაქანიც აქვს და სახელმწიფო მართვაზე გავლენაც.

საქართველო ამ მხრივაც განსხვავებული ქვეყანა გამოდგა - საბჭოური ცხოვრების მოჭარბებული მლანძღველი. არსად სხვაგან, თუ მხედველობაში ბალტიისპირელებს არ მივიღებთ, საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი არ გაუხსნიათ. არადა ის ავადსახსენებელი ბოლშევიკური სისტემა ხომ ქართველთა გარჯის ნაყოფიც იყო?

საქართველოს ბოლო ათწლიანმა ისტორიამ, მისმა პროპაგანდისტულმა მანქანამ, საზოგადოებაზე ჭარბი ზეწოლით მოახერხა ძველის გაშავება და ისეთ დონეზე დაყვანა, თითქოს საყოველთაო საშინელებაში გვეცხოვროს. არადა სააკაშვილის პერიოდის საშინელების შემდეგ, შეიძლება ლანძღო საბჭოური წარსული?

საქართველომ თავის კისერზე გამოსცადა შერჩევითი სამართალი, ტოტალური უმუშევრობა, მდარე და ძვირი განათლება, მდარე და უძვირესი სამედიცინო „მომსახურება“, უძვირესი კომუნალური გადასახადები, მიწასთან გასწორებული საშუალო და მაღალი ასაკის ადამიანთა ცხოვრება, ქვეყნის მშენებლობაში ჩადებული ფასდაუდებელი შრომისთვის, პენსიის სახელის მატარებელი მიზერული ანაზღაურება და ა.შ.

საკაშვილის დემაგოგიური ბოღვა გუშინდელ ცხოვრებასთან დაკავშირებით, მარტო მისი დაავადებული ტვინის ნაყოფი არ იყო. ის მისი დასავლელი, კერძოდ

ამერიკელი მასწავლებლების დავალებაც იყო. იმ მასწავლებლებისა, რომლებმაც ტრილიონები ხარჯეს საბჭოთა სისტემის დაშლისთვის და ამ გზაზე მერყევი, ფულს დახარბებული, გადაგვარებული „კომუნისტების“, მათ შორის გორბაჩოვის, იაკოვლევის, ელცინის, შევარდნაძის, სხვების გადაბირებისთვის, იმ ე.წ. ლიბერალური რუსეთის გაძლიერებისთვის, რომლისთვისაც სამშობლო საკუთარი კუჭიდან იწყება და თავდება.

რუსი ლიბერალები ისე, როგორც არასოდეს, დღესაც აქტიურობენ - მიზანი, ერთიანი რუსეთისთვის წყლის შეყენება და დაშლაა. მათთვის, ისე, როგორც მათი ამერიკელი დონორებისთვის, რუსეთის მდიდარი წიაღისეული მსოფლიოს და არა რუსეთისთვისაა.

მაინც როგორ ჰგავს რუსეთში გამომავალი ამერიკული ჟურნალის „The New Times“ მთავარი რედაქტორის ევგენია ალბაცის ნათქვამი - თუ ციმბირის მიწებს სხვები დაეპატრონებიან, დარდით თავს არ მოვიკლავ, აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივნის მადლენ ოლბრაიტის ნათქვამს - უსამართლობა უნდა მოისპოს და რუსეთის სიმდიდრეები ყველას კუთვნილება უნდა გახდესო.

გვიან, მაგრამ მაინც გონსმოსული რუსი ხალხი ათვითცნობიერებს, რომ კომუნისტური სისტემის ნგრევას ლამის სამშობლო გადააყოლეს, რომ ის კომუნისტური სისტემა გაცილებით ჰუმანური იყო, ვიდრე ეს კაპიტალისტური, რომელიც უბოძეს. და გამოფხიზლებული, სულ უფრო ხშირად სვამს კითხვას, რატომ არ აირჩია ისეთივე გზა, როგორიც ჩინეთმა? როგორ მოხდა, რომ საბჭოთა კავშირის არსებობის კულმინაციის მომენტში, ქვეყნის სათავეში ლიბერალები აღმოჩნდნენ?

იგრძნეს რა „დერჟავნიკების“ მძლავრი გულისწყრომა ლიბერალები, სხვა პროპაგანდას დაადგნენ - საბჭოთა სისტემა ისედაც განწირული იყო და მაინც დაინგრეოდაო. საბჭოთა ეკონომიკას ხალხის გამოკვების თავიც აღარ ჰქონდა და სხვა მსგავსი სენტენციები.

საბჭოთა სისტემა ისე იყო აწყობილი, მას ქვემოდან მომდგარი ქარიშხალიც ვერაფერს დააკლებდა. ეს, იცოდა დასავლეთმა და ნაცადი ხერხი - ციხე შიგნიდან ტყდება, გამოიყენა.

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში საბჭოეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები ჩინეთის კომპარტიამ გულდასმით შეისწავლა და გამოცდილი პარტიული მუშაკის, დენ სიაოპინის პრაგმატული აზროვნებით, ხელი მიჰყო პარტიული აპარატისა და ქვეყნის რეფორმირებას.

კაპიტალიზმის ლურჯაზე მომხტარი ჩინური კომუნიზმი მას შემდეგ სასწაულებს ახდენს. კომუნისტური ჩინეთი დღეს მსოფლიოს მეორე ეკონომიკაა.

თვით ამერიკელი ექსპერტების გათვლით, ეს ქვეყანა სულ რაღაც 5-7 წლის შემდეგ პირველი ეკონომიკა იქნება, ჩამოიტოვებს რა აშშ-ს უკან.

მაგრამ ერთ სულ მოსახლეზე ერთიანი ეროვნული პროდუქტის წარმოებით ჩინეთი მრავალი წლით და მრავარჯერ ჩამორჩება აშშ-ს და არა მარტო მას, თუმცა 10 წლის შემდეგ განსხვავება მინიმუმამდე შემცირდება. 2012 წელს ხელისუფლებაში მისული ახალი გუნდი სწორედ ამას ისახავს მიზნად. ჩინეთის საშუალო ფენის განვითარებისთვის ხელშეწყობა, მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება - აი ის მიმართულება, რომელსაც ახალი ხელისუფლება მიჰყვება.

სკეპტიკოსი ლიბერალები აცხადებენ, რომ ჩინეთი ვერ შეასრულებს დასახულ გეგმებს, რომ ქვეყანაში დაიწყება ქაოსი, დაპირისპირება, ჩინეთის კომპარტია ღრმა კრიზისში შევა და ა.შ. ეს ჰანგები რახანია ისმის, თუმცა ჩინეთის პროგრესი არ ნელდება. „ამ სახის ჩინეთს დიდი ხნის სიცოცხლე არ დარჩენიაო“, - გაიძახიან რუსი ლიბერალები და მათზე აყოლილი ზოგიერთი ქართველი ექსპერტი. დავიჯეროთ, რომ ასე იქნება? ჩინეთში მიმდინარე პროცესები რომ საწინააღმდეგოზე მეტყველებენ?

მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ, დიდმა გამოცდილებამ ჩინეთის კომპარტიასა და საზოგადოებას არ მისცა წარსულის ხელალებით ლანძღვის საშუალება. მათ ბედუნი ისეთივე დაფასებულია, როგორც წინათ. იშვიათად თუ ვინმე გაიხსენებს მისი მმართველობის ნაკლოვანებებს.

თანამედროვე ჩინეთმა არ გაიზიარა თანამედროვე რუსეთის ბრძოლა სტალინისა და სტალინიზმის წინააღმდეგ, არ გაიზიარა დესტალინიზაცია. მან, გუშინდელის ლანძღვის ნაცვლად, ახალი ცხოვრების შენებას მიჰყო ხელი. გუშინდელის ლანძღვაში არ დაიხარჯა, დრო არ დაკარგა.

20 წელზე მეტი გავიდა საბჭოთა კავშირის დაშლიდან, მაგრამ გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან დაწყებული სტალინის ლანძღვა დღესაც გრძელდება, თითქოს ამით რაღაც სანუკვარი კეთდებოდეს ხალხის კეთილდღეობისთვის.

ჩინეთს, რომ დემოკრატიის პერმანენტული გზა აერჩია, დღეს, ალბათ მოწინავე ქვეყნების რიგში არ იქნებოდა, ვერც წარმოებას გაზრდიდა და ვერც მსოფლიოში პირველი ქვეყანა იქნებოდა საგარეო ვაჭრობით. გასული წლის მონაცემებით, ჩინეთმა ამ დარგში ჩამოიტოვა აშშ-ი. 2013 წელს 4 ტრილიონი დოლარი შეადგინა ჩინეთის ექსპორტმა, აშშ 3.5 ტრილიონთან შედარებით.

ჩინეთის ახალმა ხელისუფლებამ, რომელიც 2012 წლის ნოემბერში შეუდგა თავის მოვალეობას, გააანალიზა წინამორბედთა მიერ განხორციელებული სამუშაო და ქვეყნის განვითარების ახალი გეგმები დასახა. მას „ჩინური ოცნება“ დაერქვა,

რომლის მიხედვით, ჩინეთის ეროვნული აღორძინება უნდა განხორციელდეს. ეკონომიკის დარგში გეგმას, გამოკვეთილი პარამეტრები აქვს - 2021 წლისთვის საზოგადოების საშუალო ცხოვრების დონის მიღწევა, ხოლო 2049 წლისთვის - გაფურჩქნული, მძლავრი, დემოკრატიული, კულტურის თვალსაზრისით განვითარებული, თანამედროვე სოციალისტური სახელმწიფოს აშენება.

სულ ახლახანს, ჩინეთმა გამოაცხადა ევრაზიის სივრცეში ორი ინტეგრაციული პროცესის დაწყება - დაფუძნებული ისტორიულ აბრეშუმის გზაზე. ყაზახეთში მყოფმა ჩინეთის თავმჯდომარე სი ძინპინმა განაცხადა, რომ ჩინეთი ორი მიმართულებით იმუშავებს - სახმელეთო აბრეშუმის გზის და საზღვაო აბრეშუმის მარშრუტის. პირველი ითვალისწინებს ცენტრალური აზიის ქვეყნებთან მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩინეთმა აქტიური კავშირები ჩამოაყალიბა ამ რეგიონის ქვეყნებთან, განახორციელა რა ისეთი პროექტები, როგორებიცაა ნავთობსადენის მშენებლობა ყაზახეთთან და გაზსადენის - თურქმენეთთან. ჩინეთი უკვე გახდა თურქმენეთის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი. 2012 წლის მონაცემებით, ვაჭრობამ 10.37 მილიარდ დოლარს მიაღწია. 2015 წლისთვის ყაზახეთთან ვაჭრობა 40 მილიარდ დოლარს მიაღწევს.

2012 წელს ჩინეთის ვაჭრობამ უზბეკეთთან 2 მილიარდ 875 მილიონი დოლარი შეადგინა, ყირგიზეთთან - 5.6 მილიარდი. გაიზარდა ვაჭრობა ტაჯიკეთთან. ჩინეთი ყაზახეთს დაპირდა 30 მილიარდი დოლარის ინვესტიციას. დღეის მონაცემებით ჩინეთის კომპანიები აკონტროლებენ ყაზახეთის ენერგომატარებლების 40%-ს. ახალ ინვესტიციებს შეპირდა ჩინეთი რეგიონის სხვა ქვეყნებს.

ჩინეთის წარმატება იმითაცაა გამოწვეული, რომ, ამერიკისგან განსხვავებით, ის ინვესტიციებს არასდროს უკავშირებს პოლიტიკას. ჩინეთი არ ითხოვს პოლიტიკურ რეფორმებს, არ სვამს უადგილო შეკითხვებს - რაში დაიხარჯა ინვესტიცია.

რაც შეეხება მეორეს - საზღვაო აბრეშუმის გზას - ის ითვალისწინებს ეკონომიკური კავშირების განმტკიცებას ისეთ ქვეყნებთან, როგორებიცაა: ბრუნეი, ვიეტნამი, ინდონეზია, კამბოჯა, ლაოსი, მალაიზია, მيانმა, სინგაპური, ტაილანდი, ფილიპინები. ჩინეთი იქცა „ასეანის“ (Association of SouthEast Asian Nations) წევრი ქვეყნების უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორად. 400 მილიარდი დოლარი არის ორმხრივი ვაჭრობის შედეგი. ორმხრივმა ინვესტიციამ 100 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. ჯაკარტაში ყოფნის დროს სი ძინპინმა განაცხადა, რომ „ასეანთან“ ვაჭრობა 2020 წლისთვის 1 ტრილიონ დოლარს გადააჭარბებს.

ზემოთმოყვანილი მცირედი მაგალითი ნუთუ არაფრის მთქმელია? ნუთუ ვინმემ შეიძლება ექვი შეიტანოს ჩინელთა გრანდიოზულ გეგმებში ან იფიქროს, რომ ამ ქვეყანას მალე ქაოსი შეჭამს? ცხადია, მრავალი ათეული წლის შემდეგ ჩინეთშიც შეიძლება მოხდეს რაღაც ძვრები, ჩინეთი აღარ იყოს ისეთი მძლავრი, თუნდაც, როგორც დღესაა, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ განვითარების პიკისთვის ამ ქვეყანას ჯერ არ მიუღწევია. ასეთად ჩინელები 2050 წელს თვლიან, მაგრამ ამ ეტაპზე მას არაფერი ემუქრება - შიდა ქაოსის სახით.

რაც არ უნდა სენსაციურად მოგვეჩვენოს თანამედროვე ჩინეთის საგარეო პოლიტიკის ორი მიმართულება - სახმელეთო და საზღვაო აბრეშუმის გზა, ჩინეთი ამ პროექტებს ძველ გამოცდილებას უსადაგებს - ანუ იმას, რაც მრავალი საუკუნის წინათ იყო.

2000 წლის წინათ შექმნილი „დიდი აბრეშუმის გზა“ იყო ყველაზე გრძელი კონტინენტმორისი სავაჭრო გზა, რომელმაც ერთმანეთს დააკავშირა რომის იმპერია, ბიზანტია, შორეული აღმოსავლეთი, ჩინეთი, ცენტრალური აზიის ქვეყნები. უდაბნოების, ტრამალების, მთების, ოაზისების გავლით ერთმანეთისკენ მიედინებოდა აბრეშუმი, ქალაქი, იარაღი, ტყვია-წამალი, ენა, რელიგია (ბუდიზმი, ისლამი, ქრისტიანობა), სპარსელი, თურქი, იუდეველი, სხვა ერის წარმომადგენელი. ისინი სახლდებოდნენ ჩინურ ქალაქებში, ქმნიდნენ ოჯახებს. რამდენიმეჯერ ჩინეთმა სუვერენიტეტზე დაკარგა და მრავალი ათეული წლით „ბარბაროსთა“ უღლის ქვეშ მოექცა, მაგალითად, მონღოლთა, ჯურჯენტა, სხვათა.

აბრეშუმის საზღვაო გზაც 2000 წლის წინათ შეიქმნა, რომელმაც ერთმანეთს დააკავშირა ჩინური პორტები სპარსულ, არაბულ, ევროპულ პორტებთან. აბრეშუმი, ჩაი, ფაიფური, ნეფრიტი, სხვა საქონელი გადაიზიდებოდა ამ გზით.

ჩინეთის თავმჯდომარის სი ძინპინის განცხადება, სახმელეთო და საზღვაო აბრეშუმის გზის ასაღორძინებლად, თავისთავად იწვევს აშშ-ს ყურადღების დამაბვას. არანაკლებად იძაბება რუსეთიც, ვინაიდან ერთიანი სავაჭრო სარტყელის შექმნა უპირისპირდება კრემლის ევრაზიული კავშირის შექმნის გეგმას.

ამერიკელთა მიერ შექმნილი პროექტი - ჩინეთის შეჩერების შესახებ, უდავოდ ვერ განხორციელდება, მას მეტოქეობას გაუწევს ჩინური პროექტი.

სუპერ სამეულს შორის ფარული თუ ღია დაპირისპირება არსებობს და მომავალშიც იარსებებს, რამეთუ ამ ქვეყნების ინტერესები, ისე, როგორც ნებისმიერის, საკუთარ ინტერესებზე გადის, საკუთარი ძლიერების შენარჩუნებას ესადაგება, თუმცა ეს საკითხები დღევანდელი განხილვის საგანი არ არის. მას სხვა დროს შევხებით.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სწორედ კომუნისტური სისტემის წყალობით შექმნა ჩინეთმა ცენტრალიზებული, მძლავრი სახელმწიფო, რომელიც მედგარ კონკურენციას უწევს აშშ-ს და არა თუ უწევს, უახლოეს მომავალში უკან ჩამოიტოვებს კიდევაც. შეძლებდა ამას, დასავლური თვალსაზრისით, დემოკრატიული, ლიბერალური ჩინეთი? ამ კითხვაზე პასუხი თქვენთვის მომინდვია.